3937
1897

№ I

1897 იანვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I ობოლი სიპიტო—ბ. ვაშაძისა 3
II ჩიტი, ლექსი—შიო მღვიმელისა 6
III პატარა მონადირე, საშობაო ამბავი—ალ. ბარნოვისა . . 8
IV ხალხური ლექსი— 17
V ბედნიერი დღე მოთხრობა—ელიკოსი 18
VI ზანგი და თეთრი (დასასრული) —ან. წ—სა 26
VII ქრისტე და ყმაწვილები—გ. წულუკიძისა . . . . . .
VIII პატარა ლორდის თავ-გადასავალი თარგმანი—ე—კოსი . . 39
IX ჯემს გარფილდის ცხოვრება. (შემდეგი) —ბატუასი 47
X ოქრო-ძმობილი (თარგმანი ზღაპარი) - თ. კანდელაკისა . . 52
XI მელია და მონადირე არაკი („ქილილა-დამანიდან“) . . . 65
XII გლეხი და სანთელი, ოგავი—ალ. მ—შვილისა 66
XIII შარადები 67
XIV რებუსი 68

მოვაგონებთ „ჯ ე ჯ ი ლ ი ს“ ხელის მომწერლებს, რომ ვისაც ფული სრულათ არა აქვს შემოტანილი, დააჩქაროს შემოტანა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ 1897 წელსაც გამოვა ყოველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს — ექვსის მაგივრათ და ჟურნალი მხოლოთ ერთი მანეთით მეტი ღირს. (თბილისში 4 მ. და ქალაქ გარეთ 5 მ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

106

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ჭ.

№ I



ტფილისი

სტამბა მ. დ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротиніанца. Гол. пр. д. № 41.

1897.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 14-го Января 1897 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობოლი სიპიტო.

ობის წინა ღამე იყო. საშინლათ თოვდა. საბრალო ობოლი სიპიტო გზა დაბნეული მოდიოდა ტრიალ მინდორზე. დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანისამოსში გახვეული სიცივით ძაგძაგებდა. მის სახეზე უსაზღვრო ნაღვლები გამოისატებოდა. სად მიდიოდა სიპიტო, თითონაც არ იცოდა. დღესასწაულებში უფრო გრძნობდა თავის ობლობას.

რვა წლის სოფლის ბიჭს შეეძლო ოჯახში ბევრი საქმის გაკეთება და ღვთის წინაშე საბრალო სიპიტო არც მუქთიმჭამელი იყო, მაგრამ ოჯახი, რომელმაც აიყვანა ეს ობოლი, ხშირათ ლუკმა ჰურს აუვედრიდა. მეტადრე დღეს გაუმწარეს სიცოცხლე და აიძულეს გამოვარდნილიყო სოფლიდან.

დაბინდდა, მიდის შეუსვენებლივ სიპიტო, ნაღვლით

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასივებული ვერ გრძნობს დიდ ეინვას. აი, ტუეშიაც შე-ვიდა, თოვლმა თან-და-თან უმატა, თოვლით შეჰენტილი ხეები ბინდ-ბუნდში უცნაურათ გამოიეურებოდენ. სიჰიტო ჯოხის შემწეობით იკვლევდა გზას, ზურგზე გადაკიდებუ-ლი ფუთა, რომელშიაც ესვია მისი სარჩო-საბადებელი ათ-ბობდა მას. სად მიდიოდა სიჰიტო, გზა-კვალი არა ჩნდა! ბოლოს ღონე-მიხდილმა დააგდო ძირს ჯოხი, ფუთა, და-ეცა მუხლებზე და დაიწეო მხურვალეთ ლოცვა, ცრემლე-ბი ღაჰაღუჰით გადმოსდიოდა, მერე უღონოთ დაეშვა თოვლზე, გაბრუვდა...

ამ დროს უცბათ მოესმა შორიდან გალობა, თითქოს ზეცაში ანგელოზები ადიდებდენ ქრისტეს შობას. სიჰი-ტომ მოიგროვა უკანასკნელი ღონე, წამოვარდა ფეხზე და დაიწეო გულდასმით მოსმენა. ქარი თან-და-თან მლიერ-დებოდა, ნამქერს სიჰიტოს ჰირზე აერიდა.

ამ ქარსვე მოჰქონდა გალობის ხმა. აი, შემოესმა შობის ალილოც. ბავში იკავებდა სუნთქვას, რომ ეოვე-ლი სიტეკვა გაეგონა. მერე სწრაფათ გასწია იქით, საი-დანაც მოისმოდა მომხიბლავი ხმა.

მალე გამოჩნდა კიდეც განათებული ოდა, ბავში მი-უახლოვდა სარკმელს და დაინახა, რომ კედელზე გა-კრულს ერთ დიდ სურათს გარს შემოხვეოდა ოჯახი. ზო-გი ბავში ეძისავით ჰატარა იეო.

სიჰიტომ დაარაკუნა სარკმელზე. მაშინვე ეველამ ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკენ მოიხედეს, გამოვიდენ და უმაწვილი შეიუვანეს ოთახში. საბრალო სიპიტო მაშინვე გაათბეს, შეუშრეს ტანისამოსი და აჭამეს ჰური, ეველამ დაუწეო გამოკითხვა, „საიდან მოდის, ვინ არის და ან ამ ავდარში რამ აიძულა ტეე-ტეე სიარულიო“. როდესაც შეიტეეს ამის ობლობა, ოჯახმა იშვილა.

უმაწვილები დაუმეგობრდენ სიპიტოს, მიიუვანეს სურათთან, რომელზედაც ეხატა ახლათ დაბადებული ქრისტე და რომელსაც ადიდებდენ ანგელოზები, გარედან მოსული ხალხი გაოცებით თაუვანსცემდა. უმაწვილებმა ხელ-მეორეთ მწუობრათ იგალობეს:

„შობის მახარობელი ვართ. ალილო!
ბეთლემს გამოჩნდა ვარსკვლავი. ალილო!
შობის მომასწავებელი. ალილო!
ჩიტი შემოჯდა ღობესა. ალილო!
იმახის ქრისტეს შობასა. ალილო!
შობა ღმერთმა გაგიოენოს. ალილო
შობა ახალ წელიწადი. ალილო!

სიპიტო ჰირ-დაღებული სიამოვნებით უსმენდა ამათ. ბოლოს თითონაც ბანი მისცა უმაწვილებს.

ბ. ეაშაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩიტი.

(ვ. ი. ქ.)

ვატარა ილამ ეზოში
ბევრი იცელქა დილითა,
გამოაურუა მიდამო
გამსმარის ლელის სტვირითა.
შემდეგ მოახტა ცხენ-ჯოხას
გაჰკურცხლა, გააჯირითა,
ბალჩას მიმართა მერანით,
ჰირი ჩაიტკბო ხილითა.
მწიფე ბალ-თუთას ღიღინით
ჩაუნავარდა შუაში;
ნახა იქ ჩიტი გაბმული
ფრთა-კისრით ცხენის ძუაში.
გამოხსნა გულის-ფანცქალით
მალხაზი ჩიტი ცქრიალა,
ძაფი მოაბა ფესხზედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაღლა შეაფთხრიალა.
ხან ძირს დაუშვა, ხან შესვა
ჰაწია ხომანდულზედა...
დაჭკოცნა, მიესათუთა
და მიიხუტა გულზედა.
გაუმასჰინძლდა ხართუთით,
ბლის ტოტს უწვდიდა მთლიანათ,
მაგრამ რა ნახა მოწყენით,
უთხრა ჩიტს ალერსიანათ:
— იქნება ნაღვლობ დედაზე?
დედა მეც მიუვარს ძალიან...
აქ მოსასვლელათ ვინ იცის
არც დრო აქვს, არცა სცალიან...
აჭა გაფრინდი ბინაზე,
დედა შენ ნახე თავათა,
თორემ დაგიწყებს ლოდინსა,
ჯავრით გახდება ავათა".
უთხრა და ფეხი გაუხსნა,
ჩიტი აივსო ლხენითა;
წავიდა როგორც ნიავი
დედისკენ ჭიკჭიკ-სტვენითა.
შორს გააყოლა ჩიორას
თვალი ჰატარა ილამა...
მადლობა უთხრეს გულ-კეთილს
როგორც მზემ, ისე დილამა.

შ. მდგომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მონადირე.

(საშობაო ამბავი).

აჭიჭაურიანთ ხახონა გათქმული მონადირე იყო. ხევსურეთში იმას ყველა იცნობდა. იმისთანა წამოსადეგი, ღონიერი, მარჯვე და გულადი ვაჟკაცი ორი არ გამოვიდოდა იმ არემარეში. მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა იმასაც მოუღო ბოლო. მას შემდეგ, რაც ხახონა დათვმა დათეთქვა, ის ჯანზე ველარ მოვიდა. არც დათვს შეარჩინა ხახონამ ხელის გამოღება: ხანჯლით გაუპო იმას გვერდი, ზურგით ჩამოიტანა სოფელში იმოდენა ნადირი!

ხახონას სიკვდილს შემდეგ ნადირთ ცოტა შეისვენეს. იმის ბადალი მონადირე იქ აღარავინ იყო. სხვა საქმე ხომ არც-კი ეხერხებოდა ცხონებულს!

—

ბეწინა ოთხი-ხუთი წლისა იქნებოდა, როცა დაობლდა. საამური ემაწვილი იყო ბეწინა: ხუჭუჭ ქერა თმიანი, თეთრ-წითელი, ჩასუქებული, მხარ-ბეჭიანი, ცნობის მოყვარე, მხიარული, ჟუჟუნა თვალებიანი; მიხვრა-მოხვრა და სიარული დინჯი იცოდა. ჰატარა იყო, თორემ ნამდვილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟკაცსა ჰგავდა. ემაწვილური არაფერი იხიდავდა იმას. თავის ტოლებს ამაყათ უყურებდა, იმათთან არა თამაშობდა. ხშირათ გამოელაპარაკებოდა უფროსებს. ისინიც უურადღებას აქცევდენ. დედა მისი შუქია მოუთმენლათ ელოდა, როდის შეიძლებს ჩემი ბეწინა ნადირობასაო.

შუქია ისე უფთხილდებოდა სახონასეულ თოფს, როგორც თვალისჩინს. ხშირათ გააწმენდინებდა თავის მაზლს. ბევრნი შეევაჭრენ თოფს, კაი ფასი აძლიეს, მაგრამ იმან არ გაიმეტა გასაყიდათ. თხოვებითაც კი არავისთვის უთხოვებია. ბეწინასთვის ინახავდა იმას. ბეწინას ემაწვილობაშივე ეტეობოდა, რომ კაი მონადირე დადგებოდა. ძალიან უყვარდა ნადირობა. ჯერ კი თოფის მაგიერ შვილდ-ისარს ხმარობდა. დილიდან საღამომდის სულ ხელში ეჭირა. ხშირათ ნიშანში ესროდა ისარს, ხან ძაღლს დაუმიზნებდა, ხან ჩიტებს და სხვა ფრინველებს ეპარებოდა. სხვის ძაღლს თუ დაინახავდა ეზოში შემოსულს, უსათუოთ ისარს ესროდა. ღვთის წინაშე, იმას კი არ იკადრებდა, რომ რკინის წვერიანი ისარი მოერტყა ძაღლისთვის: იმ ნაირ ისრებს მხოლოთ ჩიტებს და სხვა ფრინველებს ესროდა. თუ როგორმე იმათ ეზოდან ქორი წიწილას მოიტაცებდა, ბეწინა უსათუოთ ისარს დაადევნებდა. ერთხელ ქორს ფრთაში მოარტყა ისარი. შეშინებულმა ქორმა გაუშვა წიწილა და გზა არეული მარდათ გაფრინდა. ისარი ფრთაში ჰქონდა გარჭობილი. ბეწინას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისარულს და ხმაურობას საზღვარი არა ჰქონდა. ბოლოს ეველამ შენიშნა, რომ ისარი ძირს ჩამოვარდა და ქორი ჯალაში დაეშვა.—ბეწინა გაიქცა ისრის საძებნელათ. კარგა ხანი ეძება, მაგრამ ვერ იპოვა. მერე მეორე ისარი ამოიღო, მაღლა აისროლა და თქვა: „კვალი ძია (ეძებე), კვალი ძია, შენი დედა დაკარგულა!“ და დაიწყო ძებნა იმის ახლო-მახლო, სადაც მეორე ისარი დაეცა. მართლაც მალე იპოვა გასისხლიანებული ისარი. ბეწინას ეგონა სწორეთ ისარმა იპოვა თავისი „დაკარგული დედა“ და სისარულით გამოიქცა შინისკენ. გასისხლიანებული ისარი აღარ იხმარა. იმას ხშირათ უჩვენებდა ხოლმე სხვებს და უამბობდა, როგორ დასჭრა ქორი, და გაგდებინა წიწილა. საზოგადოთ გულმაგარმა და შეუპოვარმა ბეწინამ დიდი გულჩვილობა გამოიჩინა გადარჩენილ წიწილისადმი. ბევრი უალერსა და ელაპარაკა:

—აბა მე რო არ შეგსწრებოდი, რაღა გეშველებოდა? ხო შეგჭამდა ქორი, შე უბედურო! რო გეუბნებით, ბიჭო, ნუ შორდებით მეთქი კრუხს, არ გესმით?!

იმასაც თითქო ესმის ლაპარაკი, შესწივწივებდა ღანღალით და თრთოლით. ბეწინამ გადაარჩინა წიწილა. „ქორია“ (ასე დაარქვა ბეწინამ გადარჩენილ წიწილას) გაიზარდა, დადედლდა. ეს იყო რომ ცალ ფრთას მიწაზე ათრევდა, თორემ სხვაფრივ არა უჭირდარა. ბეწინას იმის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ჯიბეში ფეტვი ეყარა ხოლმე. „ქორიაც“ სულ უკან დასდევდა.

—

ბეწინა მოიზარდა. ახლა კი ანდო დედამ თოფი. თუმცა ჯერ უარობდა შუქია, მაგრამ შვილმა აღარ მოუსვენა. ახლა კი სამუდამოთ გადააგდო ბეწინამ შვილდ-ისარი. მმიმე ქართულ თოფს ძლივ ერეოდა ბეწინა. თოფი იმაზე ორჯელ უფრო გძელი იყო. ბეწინა ახლა სანადიროთ დადიოდა ახლო-მახლო. ქედნებს და კურდღლებს ჭხოცდა. კურდღლებს ღვდლიანი ეიდულობდენ იმისგან. ხევსურები არა ჭამენ კურდღელს. —„ციცაის გავს კურდღელი, რახელ იჭმებისო“, ამბობენ ისინი. ჩვენი ბეწინა ხანდისხან შორს ტყეშიაც გაჭვევებოდა ხოლმე სხვა მონადირეებს. თავის გამბედაობით და დაუღალავობით გაკვირვებაში მოჭეავდა უფროსები. თუ რაზედმე დაცინებდენ, ბეწინა გაიბუტებოდა და ხმას აღარ იღებდა.

—

ქრისტიშობის ოც-და-ოთხი იყო. არე-მარე თოვლს დაებურა, ეველა ემზადებოდა მეორე დღისთვის. ზოგმა ცხვარი დაჭკლა, ზოგმა ხბო. ჭხდიდენ ლუდის კოდებს.

—ბეწინავ, რით გავიხსნათ ჰირი? ხვალ ბედნიერ დღეა.— უთხრა შუქიამ თავის შვილს.

—ისე რახელ გამიწერების იაღსარი, რომ ვერაფერი მოვკლა?! ცხორი თუ არა გვეავს, ნადირი ხო ბევრია ი ტყეში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

—არა, ბეწინავ, ამისთანა ამინდში სანაკირონთ ვერ გაგიშობ! გახედე, რახელ ნამქერს ურევს!

—არაი უშავს, დედავ, შორს არ წავალ...

ბეწინამ დაითანხმა დედა. ჩამოიღო თოფი, აიღო ტუვია-წამალი. ტანთ თბილათ ჩაიცვა. წინდის წვერებში ახალი გაჩეჩილი მატელი ჩაიდო, ქალამნებში ბზე ჩაიგო, გუდაში ერთი ხმიადი ჩაიდო, გადიკიდა თოფი და გაუდგა გზას.

—ბეწიავ, მგლებმა არა აგიტეხონრა, შორს ნუ წახვალ! მიაძახა დედამ.

—ხახონაის ბეწინას მგლებისა არ ეშინის დედაილამ!

—

შუადღე გადასული იყო, მაგრამ ბეწინას ჯერ ერთი კურდღელის მეტი არაფერი მოეკლა. თითქმის სასოწარკვეთილებამდის მივიდა. კურდღელი ხო არ ეჭმეოდათ და ნუთუ ხელცარიელი უნდა დაბრუნდეს! ახლა კი შიმშილიც იგრძნო ჩვენმა მონადირემ... ჩავიდა, ან უკეთ ვთქვათ, ჩაცურდა ბეწინა ხევში. იქ, ერთი დიდი ხის ძირში წყარო გამოდიოდა. წყალი ჰატარა ადგილს ჩანდა. დანარჩენ მანძილზე ეინულისა და თოვლის ქვეშ იყო დამალული. ბეწინამ ხმიადი ჩაალბო წყალში და ჯამა დაუწყო მიისედ-მოისედა და შენიშნა ნადირის ნაფეხური. ახლა კი ცოტა იმედი მიეცა. ამოეშურა ისევ ზევით

და ამოეფარა დათოვლილ ჯაგს. წუხს ბეწინა, მოუთმენელობა ეტეობა. ჯავრი მოსდის, რომ საღამო ახლოვდება. საბედნიეროთ ბევრი ცდა აღარ დასჭირდა ბეწინას. უეცრათ დაინახა იმან მომაგალი ირემი, ამაუათ იეურება ირემი აქეთ-იქით, ჭაერსა ჭსუნავს. ანიშნა თავის მეგობარს საშიში არაფერიაო. თითონ წუალს დაეწაფა. ბეწინამ სული განაბა, თავისი გულის ცემა ესმის. შეეგედრა ღმერთს, ნიშანში ამოიღო ირემი. ერთი წუთიც და ბეწინას თოფმა იგრიალა. ირემი სასიკვდილოთ დაიჭრა. იეო წამი, როდესაც ბეწინამ ბოლისა და მომაკვდავ ირმისგან ანადენ ბუქისაგან ვეღარ დაინახა ნადირი. მარდათ ჩაისრიალა ბეწინამ ხევში. ირემი კიდევ ცდილობდა წამოდგომას. სპეტაკი თოვლი სისხლით იღებებოდა. ბეწინამ ხანჯალი იძრო, უნდოდა ირმისთვის ეელი გამოეჭრა, მაგრამ მალე შეამჩნია, რომ ეს სულ მეტიღა იქნებოდა, და ისევ ქარქაშში ჩააგო. ირემმა საუკუნოთ დახუჭა თვალები.

სისარულით უეურებს ბეწინა ირემს; ფიქრობს რანაირათ გაესარდება იმის დედას შვილის გამარჯვება,-როგორ ალაპარაკდება მთელი სოფელი. მაგრამ მალე, საფიქრებელსაც მიეცა: როგორ წაიღოს ირემი შინ? ნაწილი წაიღოს და დანარჩენი მგლებს დაუტოვოს ვახშმათ?—რას ეგვანება! „ახ, სად არის ახლა ჩვენი ცოგა!“ ინატრა ბეწინამ. მიისედ-მოისედა და შეამჩნია ერთ ხეზე კაი ორკაპი ტოტი. იძრო ხანჯალი მოსჭრა ის ტოტი, გასხვიპა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არდიგარდმო ფიჩხები დააკრა. გამოვიდა რაღაც მარხილის მსგავსი. ბეწინამ ზედ შედო ირემი. წელიდან შემოიხსნა ოთველ შემთხვევისათვის წამოღებული თოკი, გამოაბა ხელათ გაკეთებულ მარხილს და გასწია. დატვირთული ცეგა ადვილათ გასრიალდა თოვლზე. ახლა კი იმედი მიეცა ბეწინას. რის ვაი-ვაგლახით გაახწია იმან ხევს. ამ დროს კიდეც დაბინდდა. შინამდის ჯერ კაი მანძილი იყო. ბეწინამ შეისვენა. თოფი გატენა. უალერსებს ირემს, ხელს უსვამს; ნატრულობს, რომ ახლა შინ იყოს. წარმოიდგინა დედის წუხილი. ცოტა კიდეც შეფიქრიანდა: ხორცის სუნი არ ეცეთ მგლებს და თავს არ დამესხნენო.

—

დაღამდა. ცა მოწმენდილია. ამოკაშკაშდა მთვარე და ააელვარა თოვლი. ჭეინავს. ტეიდან მგლების ღმუილი მოისმის. ბეწინა არსადა ჩანს. შეწუხდა შუქია. იმედი აღარა აქვს ბეწინას დაბრუნებისა. შეშფოთდა მთელი სოფელი. ტეეში თუ იყო ვინმე წასული, ეველანი დაბრუნდენ. ბეწინა არავის შეჭვედრია.

რამდენიმე ვაჟკაცი შეიარაღდა. შესხდენ ცხენებზე, გაიყოლეს მაღლები და ტეისკენ წავიდენ ბეწინას საძებნელათ. ტეეში რო შევიდენ მასილი დაიწყეს. მაღლებმა რაღაცა იგრძნეს და წინ გაიქცენ. ამ დროს ბეწინამაც ხმა მოსცა ხალხს. მაღლებმა მალე იპოვეს ის. იცნეს ბეწინა. სიხარულით წკმუტუნი შექნეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰირჯვარი გადიწირა უველამ და გაეშურენ ბეწინასკენ. საწყალი დაღალულა, ფეხებს ძლივს მოათრევს. სიცივისგან ხმას ძლივს იღებს. ნაბადში გაახვიეს ბეწინა, ცხენზე შესვეს. მეორე ცხენს ირემი აჭკიდეს და გაუდგენ გზას. ტეის ჰირს რო მოახწიეს, რამდენჯერმე თოფი დაცალეს და ამით აცნობეს სოფელს, რომ გამარჯვებულები მოდიოდენ. სოფელში არავის აგონდებოდა ძილი. უველა ელოდა ბეწინას ამბავს.

შუქიასთან ერთათ მთელი სოფელი დღესასწაულობდა ბეწინას გადარჩენას. ბეწინა ცხენიდან გადმოსვეს. გადმოიღეს ირემიც. დაუწყეს შინჯვა. ესუმრებიან ბეწინას.

— ე-ე-ე, ბეწინავ, ეგ ირემი ხო მოღან (გუშინ) მე დავჭერი! ეუბნებოდა ერთი.

— საით მოხელე, ბეწინავ, ეგ მკვდარი ირემი? ჰკითხავდა მეორე.

— ვინ იცის ვინ მოჭკლა ე ირემი და შენ კი ჩაგვარდნია ხელში! ამბობდა თავის ქნევით მესამე.

ბეწინა ქვეშ-ქვეშ იღიმება. ხმას არ იღებს.

იცის რო ესუმრებიან.

მერე კი დაუწყეს გამოკითხვა, თუ სად და როგორ მოჭკლა მან ირემი. ბეწინაც მოჭყვა და უველაფერი უამბო, რაც კი თავს გადახდა.

შუქიამ არაყი დაალევინა შეკრებილ ხალხს; მადლობა გადუხადა. იმათ ღამე მშვიდობისა უსურვეს და წავიდწამოვიდენ. ორიოდე კაცი დარჩა იქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ხახონას გადააჯარბებს ბეწინა, ღთის მადლმა! ამბობდა ერთი.

—ბეწინა ახლა ცამეტ წლისაზე მეტი არ იქნების,.. მაგ ხანში ხახონას სად შეეძლო მაგოდნობა! მოიგონა ბერიკაცმა მანგიამ.

ბეწინამ დაუჭირა ირმის გატეავება, მაგრამ აღარ გასარჯეს მეზობლებმა:

—შენ დაღალულ ხარ, ბეწინავ, სად შეგიძლავს მუშაობა! ჩვენ გავატეავებთ.

და ხელათ კიდეც გააატეავეს ირემი. მერე აჭკაფეს და ბოძებზე ჩამოჭკიდეს.

შუქიამ თითო ეანწი არაეი კიდე დაალევინა იმათ, უთავაზა საწვადე და მადლობით გაისტუმრა.

შობა დილით შუქიამ და ბეწინამ ირმის ხორცით გაიხსნილეს.

—

ბეწინა ახლა მოხუცებულია. ვაჟკაცი შვილები და ბატარა შვილის-შვილები თავს დასტრიალებენ. იმათი სახლის კედლები და ბოძები შემკობილია ირმებისა, ჯიხვებისა და სხვა ნადირების რქებითა და თავებით, არწივის ფრთებ-კლანჭებით. ეველა ეს ნიშნებია ბეწინასაგან დახოცილ ნადირ-ფრინველებისა. ბირველათ მოკლული ირმის ჩხა დედა-ბოძზეა მილურსმული. იარაღიც იმაზეა ჩამოკიდებული.

როცა ბეწინა მოიგონებს საშობოოთ მოკლულ ირმის ამბავს, თვალები მთლათ გაუბრწყინდება ხოლმე.

ალ. ბარნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური ლექსი.

(ჩაწერილი ნ. ბარნაბაშვილის მიერ).

რეკლემ ხანს შეუოვალა,
მე შენზე ვარ კეისარი,
შორიდან ვალაპარაკებ,
როგორც წუწკი მეძებარი.
ეორლანაშვილმა ურჩია:
გაუკ ხავნოთ თითისტარი,
დაჯდეს და ბამბა დაართას,
შეიქნება ჩვენი რძალი.
ეს რომ ეეერმა შეიტყო
გაჯავრდა და წამოვიდა,
უკან მოსდევს აღალარი,
წინ მოუძღვის ჩოსადარი;
შავ-ნაბადაზე *) მოვიდა,
ქალაქს აერია კვალი,
ოთხივ-კუთხი დაეკეტა,
აღარ დარჩა ერთი კაცი,
იესო ქრისტემ დალოცოს
ქართლის ბიჭი მეომარი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

*) შაკნაბადა — მთავ თოფიღისის ასდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერი დღე.

ეენიერი ზამთრის დილა იყო. ჰაერი ოდნავაც არ იძროდა, მზეს გამოეხედნა ღრუბლებიდან და ცდილობდა რაც შეეძლო მეტი სხივები გამოეგზავნა გაცივებულ დედა-მიწისათვის.

ქალაქის ბაღში პატარა ბავშები ჭიანჭველებსავით ირევიან; მათი მხიარული ჟრიამული და ხარხარ-კისკასი ზევით ცას ახარებს და ქვევით დედა-მიწას. დარბიან, დათამაშობენ, დამღერიან... ყველაში ირჩევა ერთი პატარა, შავ-თვალ-წარბა და ხუჭუჭ-თმა გაწეწილი 7 წლის გოგონა, თამარო... ყოველ თამაშობაში ის არის მოთავე, ყველაზე ცქვიტათ ის დარბის, ყველაზე ხშირათ ის იცინის, ყველაზე ხმა მაღლა ის გაჰკივის... ძალიან მხიარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობს, სხვასაც ამციარულებს, მაგრამ მაინც ის მხიარულებს რაღაც მოუსვენრობის ბეჭედი აძევს; ის ხშირ-ხშირათ გაიხედავს ხოლმე ბაღის კარებისკენ და რაღაც ლრუბელი გადაურბენს ცოცხალ სახეზე... მაგრამ აი, გაიხედა ერთი კიდევ და დაინახა მომავალი წარმოსადეგი, სათვალებიანი, შავებით შემოსილი ქალი, რომლის გვერდშიაც დინჯათ მოდიოდა მდიდრულათ და კოხტათ ჩაცმული პატარა ქალიშვილი; ბავშის დიდი ცის-ფერი თვალები რაღაც მედიდურებით უყურებდენ არე მარეს, პატარა ვარდის-ფერი ტუჩები მოკუმული ჰქონდა, ხელში დიდი, მორთული დედოფალა ეჭირა და მაგრათ ჰყავდა გულზე მიკრული.

იმათ ცქრიალა ბავშების გუნდს გვერდით ჩაუარეს. ბავშმა ამაყათ გადახედა მათ, მერე აიბზუა ტუჩი, მიუბრუნდა შავებიან ქალს და დაცინვით ხმა-მაღლა უთხრა:

— როგორ არ მოსწყინდებათ ამდენი ყვირილი და ხმაურობა! ისე დარბიან, თითქო ამათ მეტი აქ არავინ იყოს!

— აბა ზრდილობას ვინ ასწავლიდათ! —უპასუხა ქალმა და თავმომწონეთ გადახედა თავის პატარა გაზდილს ოლიკოს, რომელიც არც ამ ბავშებს და არც საზოგადოთ პატარა ბავშს არ ჰგავდა; მისი სიარული, მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი,—ყველაფერი დიდ ადამიანს მოგაგონებდათ; მას დედა არ ჰყავდა, მამას საიმისოთ არ სცალოდა და მთლათ აღმზდელს მიანდო მისი მოვლა; აღმზდელის წვრთნამაც ტყუილათ არ ჩაიარა, ბევრ დიდსაც აჯობებდა ოლიკო ზრდილობაში და თავის დაჭერაში, ბევრ ეშმაკ ბავშს შეარცხვენდა თავის მაგალითით, ბევრი ბავშის დედ-მამას ძოიყვანდა აღტაცებაში თავისი დინჯი და დაფიქრებული ყოფა-ქცევით... მაგრამ ყველა ამითი ის ბედნიერი არ იყო; როცა აღმზდელის გვერდში, ბაღში წყნარათ დასეირნობდა ხან-და-ხან იმასაც წამოუელიდა ბავშური სიმალხაზე; ხარბათ შეჰყურებდა ხოლმე მაშინ მოთამაშე ბავშებს, პატარა გული ფანცქალს დაუწყებდა, ფეხები აუთამაშდებოდა. მზათ იყო, ამასაც მხიარულათ დაეჭყივლა, გაქცეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიყო, ჩარეულიყო ამ ცქრიალა გუნდში და არც ერთს არ ჩამორ-ჩენოდა უკან სიცქვიტეში და სიმარჯვეში, მაგრამ შეხედავდა თავის ალმზდელს, გაიხსენებდა მის სიტყვებს:—„კარგ ოჯახის ქალს არ ეკადრება აგრე მხეცურათ რბენა და ყვირილიო“, და ჩაჰლუნავდა თავს. მერე ამაყათ გადახედავდა ბავშებს და დაცინვით გაიღიმებდა, თითქოს ეუბნებოდა:

— თქვე საწყლებო, რა მეცოდებით, აგრე გაუზდელები რომ ხართო!

ბავშებს დიდი ხანია შენიშნული ჰქონდათ ეს და კიდეეც დაეკარგებოდათ ხოლმე ცოტა ხნით სიამოვნება, როცა ოლიკოს და მის ალმზდელს დაინახავდენ, მხოლოთ თამრიკო არ ერიდებოდა მათ; იმათ მოახლოვებაზე ის უფრო მხიარულ თამაშს გამოიგონებდა ხოლმე და ცდილობდა, ყველა უფრო გაემხიარულებია და აეყვირებია.

ახლაც, დაინახეს თუ არა ოლიკო და მისი ალმზდელი, ბავშები შეჯვუფდენ და მხიარული ლაპარაკი დაიწყეს.

— აი, ეგ ძალიან მდიდარი უნდა იყვეს! ყოველთვის გამოპრანჭულია და ყოველთვის ახალი დედოფალა უჭირავს ხელში!— თქვა ერთმა.

— რა კარგ ნაძვის ხეს გაუკეთებს დედ-მამა! დაუმატა მეორემ.

— რამდენ საჩუქრებს მიიღებს! რამდენ კამფეტებს ჭამს!

თამრიკო არას ამბობდა; ის ოლიკოს მიჩერებოდა, მერე მიუბრუნდა მეგობრებს და უთხრა: სწორეთ არ მინდა, მაგის ადგილას რომ ვიყო. ხომ იცით რომ ეგ ჩვენ ზევით დგას; შარშან მაგათმა გოგომ ჩვენი გოგო დაჰპატიჟა, როცა ნაძვის ხე ჰქონდათ. მერე, გვიამბობდა ჩვენი მარო, უნდა გენახათ, რა მოწყენილი იყვენო! თურმე 5, 6 ამხანაგი ჰყოლია, შვენიერათ მოწყობილი ხე ჰქონიათ, ბევრი ტკბილეულობაც, ბევრი სათამაშოებიც, მაგრამ დრო კი ვერ გაუტარებიათ. თურმე იჯდენ იქით-აქეთ და ხეს უყურებდენ, არც თამაშობდენ, არც დარბოდენ, ნება არ მიუციათ, ახალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაბები გეგესერებათო. აბა, რა სასიამოვნოა მარტო მორთული ხე, თუ კი ვერც ირბენ და ვერც ითამაშებ!

— რაცა, რატომ, რატომ არ დარბოდენ და არ თამაშობდენ?

— ხომ გითხარით, კაბები გაესრებოდათ-თქო! არა, მე სულაც არ მეხარბება, ეგ რომ აგრე მდიდარია! მაგათი გოგო ლაპარაკობდა, სულ მოწყენილი არისო, ხან წიგნს კითხულობს და ხან ისე ზისო, ბავშს სულ არ გაეს, ბავშური სიცილიც არ იცისო!..

— საწყალი, საწყალი!.. თქვეს ბავშებმა.—თქვენ კი რა კარგი ხე გაქვთ ხოლმე ყოველ წელიწადს! — უთხრა ერთმა ამხანაგმა თამრიკოს.— რა მხიარულათ ვთამაშობთ ხოლმე! რაცა წამოვაქცევთ და გავეცქვნით ხოლმე მერე სულ ერთიანათ იმ ხეს!..— იცი რა, თამრიკო! მოდი, ეგეც დაპატიჟე ხვალისთვის შენთან! ერთი ეგეც ვათამაშოთ თქვენი ხის გარშემო!

— მეც ვფიქრობდი მაგას, რაც უნდა იყოს, მაინც დავპატიჟებ! ვნახოთ, რაცა მოეწონება! თუ არ მოვა, არც იმას ვინაღვლებ მაინცდა-მაინც, მაგისთვის უარესი იქნება!

ამ დროს ოლიკო ბაღის ბოლოში გამოჩნდა, მისი აღმზდელი ვოლაცას გატაცებით ელაპარაკებოდა, ის კი უკან ჩამორჩენილიყო, ზარმაცათ მოდიოდა და ზანტათ იყურებოდა იქით-აქეთ. თამრო ელვასავით გაჰქანდა და ერთ წამს მის წინ გაჩნდა.

— პატარა ბავშო, ხვალ ჩემთან მოდი, საახალწლო ხე მექნება!

ოლიკომ გაკვირვებით გადახედა მას. თან რო არ შეკრთა.— შენ არაოდეს არ თამაშობ, ჩვენ კი ხვალ ბევრს ვითამაშებთ. მოდი, უსათუოთ მოდი.

ოლიკომ გაკვირვებით არ იცოდა რა ექნა.— შენ ვინა ხარ?— ჰკითხა ბოლოს მან.

— მე თამრო ვარ. ჩვენ ერთ სახლში ვდგევართ. შენ ქვეით ვართ. მოხვალ?

ამ დროს აღმზდელმა ხელი ჩამოართვა თავის ნაცნობს. ოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომ უცებ უთხრა თამროს: — კარგი, თუ გამოიმშვენეს! და გაეშურა ალმზდელისაკენ, თამარო კი გახარებული გაფრინდა თავის ამხანაგებთან.

—

მდიდრულათ მორთულ ოთახში შუახნის კაცი მოსვენებით ჩამჯდარიყო სავარძელში და რაღაც ფიქრებში იყო გართული. პატარა ოლიკო იქვე ბუხრის წინ იჯდა და დაფიქრებით უყურებდა ცეცხლს. დღეს მისი ალმზდელი მთელი დღით სხვაგან წასულიყო და ის მარტო მამის ამარა იყო სახლში. დიდ ხანს იჯდენ მამა-შვილი ჩუმათ, თავ-თავის ფიქრებში გართული... ბოლოს მამამ აიღო თავი, მიიხედ-მოიხედა, შენიშნა რომ დაბნელებულიყო და თავის ქალიშვილს შეხედა. გაუკვირდა, ამდენ ხანს ასე ჩუმათ როგორ არისო. ოლიკო ცეცხლის წინ მოკუნტულიყო, დიდი ცის-ფერი თვალები ბუხრის შუა გულხში მიეშტერებინა, ფერ-მკრთალი, გამხდარი სახე დაღვრემილი ჰქონდა... — რათ არის ასე გამხდარი და მოწყენილი ეს ბავში? გაიფიქრა მამამ. — ყველაფერი აქვს. რაც კი ესაჭიროება, თავის ტოლებზე უკეთეს მდგომარეობაშია, რაღა აკლია?

— ოლიკო, მოდი აქ! — დაუძახა მან. — მოდი, მაკოცე!

ოლიკო წამოდგა, მიუახლოვდა მამას, აკოცა, მოეხვია და უთხრა:

— მამა, აქ ჩვენ ქვე-თ თამრო დკას, იმან დამპატიჟა, დღეს მოდიო, წავალ!

— როგორ წახვალ, მერე რა იცი, ვინ არის ის თამრო? მე მათ ოჯახს რომ ვერ ვიცნობ? ალმზდელიც რომ არ არის სახლში?

— რა მიჭირს მამა, წავალ! მალე ისევ ამოვალ! თუ გიყვარდე, გამიშვი! — ბავშს დიდრონი თვალები ცრემლებით აევსო და ისეთი ხვეწით მიაპყრო მამას, რომ ამან ველარ გაუძლო საყვარელი, ერთათ-ერთი შვილის თხოვნას და უთხრა: — კარგი! მე თითონ წაგიყვანო... ოლიკო მალე მოემზადა. მას ძალიან ეხალისებოდა იმ ბავ-

შებში ჩარევა, რომლის მხიარულებაც ხან და ხან ეხარბებოდა ბალში; იმას უნდოდა ახლო ენახა ისინი, გაეცნო, ენახა აგრეთვე თამრო, რომელიც უწინაც შენიშნული და გამორჩეული ჰყავდა ცქრიალა და მალხაზ ბავშების გუნდში, როგორც ყველაზე უფრო ცქრიალა და ყველაზე უფრო მალხაზი.

—

ასე, სამი საათის იქით მამა ისევ ჩამოვიდა კიბეზე, დარეკა და თავისი ქალიშვილი მოიკითხა. ოლიკოც მალე გამოვარდა. ბავში ისეთი მხიარული და ბედნიერი იყო, რომ მამამ თითქმის ველარ იცნო თავისი შვილი; ყოველთვის ლამაზათ დავარცხნილი ოქროსფერი თმა თვალებზე და ბეჭებზე ჩამოწეწოდა, ლოყები აწითლებოდა, მისი მიბნედილი ცისფერი თვალები სულ ნაპერწკლებს ყრიდენ.. ხელში ცხვირსახოცში გამოკრული რაღაც-რაღაცეები ეჭირა... კიბეზედაც და მერე მამის ოთახშიც ოლიკომ იქაურობა გადააყრუა თავისი ტიტინით:—უჰ! რა კარგი დრო გავატარე! რა შვენიერება იყო!—აღტაცებით ლაპარაკობდა ის.

— ახლა, მომიყევი მაინც, რა და რა იყო!—უთხრა მამამ, რომელიც გაკვირვებით შესცქეროდა თავის პატარა ოლიკოს. ნუ თუ ეს ოლიკო, მართლა მისი ოლიკო იყო? ხომ არ გამოცვალეს? როდის იყო ოლიკო ასე გამოცოცხლებული, ასე გამხიარულებული, ასე მოტიტინე, ასე ცალ-ფეხზე მხტუნავი?

— ჯერ ნახე, რა მერგო! ნაძვის ხე წავაქციეთ და სულ გავცარცვეთ! საწყალს, ტოტებიც დავანტვრიეთ! ტიტინებდა ოლიკო და თან ცხვირსახოცს ჰხსნიდა. იქიდან გადმოცვივდა იაფ ფასიანი კამფეტები, ტკბილი პურები, ორი მოოქრული კაკალი, ერთი ვაშლი, ერთი ხის ბზრიალა და ოქროს ქაღალდის ვარსკვლავი.

— ეს სულ მე თითონ მოვწყვიტე ხეზე. ყველა ვწყვეტდით, სხვაზე არაკიზე ნაკლები არ მომიგლეჯია! მერე რო დავხედეთ ხეს, შეგვეცოდა! საწყალი, განართხულიყო ძირს, ასე გეგონებოდა, გვეუბნებოდა, სიამოვნების მეტი რა გაჩვენეთ, ასე უწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალოთ რომ მომექეცთ, გამცარცვეთ, გამგლიჯეთ, ტოტებიც კი ალარ შემარჩინეთო! მაგრამ ჩვენ ხეს რას დავეძებდით! სიამოვნება კი მართლა ბევრი გვაჩვენა! რა კარგი იყო, ჩემი ალმზდელი რომ არ იყო იქ! კიდე დამიწყებდა, ნუ ირბენ, ნუ იყვირებ, ზრდილობიანათ დაიჭირე თავიო! აბა, რა დროს ზრდილობაა, როცა თუ სხვას ხელი არ ჰკარი და არ აჯობე, ვერაფერს მოიტაცებ ხიდან! ზრდილობიანათ რომ ეყოფილიყავი, ხომ ვერც ამ ვარსკვლავს მოვწყვეტდი! ჰა, ჰა, ჰა! გადიხარხარა ოლიკომ. ერთი ბაწია ჩასუქებული ვაჟიც აპირებდა მის მოგლეჯას, მარა ვკარი ხელი, იქით გავაგდე და მოვწყვიტე! იმან იტირა და მე ბურთი მივეცი, ეს ვარსკვლავი კი არ დავანებე. რა კარგია, არა?

— შვენიერია! — უთხრა მამამ, თუმცა კარგათ ახსოვდა, რომ ოლიკოს საახლწლო ხეზე ყოველთვის, ყველაფერი, უფრო ლამაზი და უფრო ძვირფასი იყო.

— მერე რამდენი ვირბინეთ, ვითამაშეთ, ვიცეკვეთ, ვიცელქეთ... რა კარგია ღმერთმანი, ალმზდელი რომ იქ არ დამესწრო! სწორეთ არაფრათ მიამებოდა, რომ დეეწო იმ გაცხარებულ თამაშის დროს: „ნუ ყვირი, ნუ ხტუნავ, არაფერი იტკინო, კაბა არ დაიხიოვო“ .. რა კარგია თამრო, მისია მხანაგები, მისი დედ-მამა... ისე გვეთამაშებოდენ, თითქო ჩვენი ტოლები ყოფილიყვენ... მისი ამხანაგები ახლა ჩემიც არიან. ჩემთან მოვლენ, როცა ჩემ ნაძვის ხეს მოვრთავთ... ხომ მოვიყვანო? ხომ, მამა? და ბავში ახტა, ჩამოეკიდა კისერზე მამას, აკოცა ორჯელ-სამჯელ, მერე ჩამოხტა, შემოტრიალდა ცალ-ფეხზე და მხიარულათ ტაში დაუკრა...

— კი, გენაცვალე, კი ჩემო ოლიკო! — უთხრა მამამ. მხოლოთ ახლა დაფიქრდა ის თავის შვილზე, მხოლოთ ახლა მიხვდა, რომ იმას მეტი მოფერება, მეტი მხიარულება, მეტი თავისუფლება და მეტი ბავშური დროს გატარება ეჭირვებოდა... — კი, ჩემო სიცოცხლე, ყველა შენი დღევანდელი ამხანაგები დაჰპატიჟე, რამდენიც გინდათ, იმდენი იხტუნეთ და ითამაშეთ, ალარც ალმზდელი დაგიშლის აწი სირბილს და ყვირილს...

— ხვალვე დაპატიჟებ, ხვალვე მოვლენ! — სიხარულით შეჰყვირა ოლიკომ, ისევ შეხტა და შეკვინტრიშდა... მაშინ რამდენს ვირბენ! სირბილი ხომ უზდელობა არ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, შვილო, არა! რამდენიც გინდა, იმდენი ირბინე!

— ბაღში? ბაღშიაც შეიძლება თამაში?

— სადაც გინდა, რამდენიც გინდა, როდესაც გინდა!..

— უჰ! რა კარგია, რა ბედნიერებაა! — და ოლიკო ისევ შეახტა მამას კისერზე.

— ახლა კი მოვაგროვებ დღევანდელ საჩუქრებს და დასაძინებლათ წავალ. აი, ამ ვარსკვლავს კი შენ გაჩუქებ!. ბავში წავიდა. მამა კი ისევ სავარძელში ჩაჯდა, და ისევ ფიქრში გაერთო; ხშირათ შეხედავდა ხოლმე ოლიკოს ნაჩუქარ ვარსკვლავს და მწუხარებით გააქნევდა თავს! — რა ცოტა ყურადღებას ვაქცევდი, როგორ ვივიწყებდი საწყალ ბავშს!.. მწარეთ წაიბუტბუტა ბოლოს მან.

ელიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზანგი და თეთრი.

(ფრანგულიდან)

(დასასრული)

ამ ამბავს შემდეგ გავიდა ორი კვირა. მიენა სრულიებით კარგათ გახდა. ერთხელ ის და მერძევე კაცი ლადუსეტი ისხდენ ერთ ბნელ ოთახში. ეს ოთახი ფრანსუას უბნის პოლიციის მოხელესი იყო. მალე შეიყვანეს ესენი თვით მოხელესთანაც.

— თქვენა ბრძანდებით ბატონი ლადუსეტი, რომელმაც იპოვა 26 ნოემბერს თოვლში ყმაწვილი?

— დიახ, ბატონო, მე გახლავარ.

— ეს ყმაწვილია? მგონი, ახლა ისე კარგათ არის, რომ შეუძლიან ჩემ კითხვებზე მიპასუხოს.

— რასაკვირველია.

ლადუსეტმა ოდნავ ხელი ჰკრა და წინ მიაგდო მიენა, რომელიც შიშით ცახცახებდა და უთხრა:

— მოუყევი ბატონ პოლიციის მოხელეს, რაც მე და ჩემ ცოლს გვიამბე.

ყმაწვილი მოუყვა დაწვრილებით თავისი თავ-გადასავლის ამბავს, რამდენ ხანს დაჰყო ფრანსუასთან და ან როგორ ცხოვრებდა მასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმან იმ იმედით დაგტოვა სიციელეში, რომ გაიყინება და მოკვდებაო, არა?

—არა, ბატონო პოლიციელო, უთხრა ყმაწვილმა,—ის მაგისთანა ბოროტი კაცი არ იყო. ან რათ მოინდომებდა ჩემ თავიდან მოშორებას. ფულს ბლომათ ეიგებდი, არც დიდი მჭამელი ვიყავი.

— იმას ნება არა ჰქონდა რომ ეტარებინე ბუხრების გასაწმენდათ, ჯერ ერთი რომ ქალი იყავ, მერე —არც ნება-რთვა ეჭირა ხელში. როდესაც დავიბარე პასუხის მოსაცემათ ალბათ შეეშინდებოდა და მოინდომებდა შენ მოშორებას.

ეს რომ გაიგო მიენამ მოურიდებლათ უამბო ყველაფერი პოლიციის მოხელეს იმ დღიდან, რა დღიდანაც სამშობლო დაეტოვებინა.

პოლიციის მოხელე ყურს უგდებდა და თან ყველაფერს სწერდა მოყვითანო ქაღალდზე, რომელსაც ზემოდან ეწერა: „ფრანსუა მატილიონის საქმე“.

მიენამ გაათავა თავისი მოთხრობა. რასაკვირველია ანრიზე ბევრს ლაპარაკობდა. პოლიციის მოხელემ შეინახა ქაღალდები და კმაყოფილების კილოთი წამოიძახა:

— ყველაფერი კარგათ შევიტყე. ორივე ყმაწვილების ჩვენება ერთმანეთს ეთანხმება.

ამ სიტყვებზე მიენამ თავი მაღლა აიღო და მორცხვათ იკითხა:

— ბატონო ჩემო, იცით რამე ანრის ამბავი?

— ძალიან გაგეხარდება მისი ნახვა?

— ოჰ, რასაკვირველია!

მოხელემ ჩამოჰკრა ზარს.

ფიცხლავ შემოვარდა პატარა ბიჭი.

— დაუძახე იმ ყმაწვილს, რომელიც მეორე ოთახში იცდის.

მიენას გული აუფანცქალდა, თითქოს ახლავე ბუდიდან გადმოუვარდნას აპირებდა. განა დასაჯერებელი იყო რომ მას შემდეგ რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე მოულოდნელათ, უცნაურათ, გადარჩა სიკვდილს კიდევ ნახავდა იმას, ვინც ასე ძალიან უყვარდა.

მიენას დიდ ხანს არ მოუხდა ცდა.

პირდაპირ რომ კარები იყო ერთბაშათ გაიღო.

ორივე ყმაწვილებმა ერთ და იმავე დროს ერთმანეთს შესძახეს.

„ანრი! მიენა!..

და თვალ-ცრემლიანები გადაეხვიენ.

მერე გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს.

ამ ცოტა ხანში ორივენი ძალიან გამოცვლილიყვენ. სადღა იყო გაჭვარტლული ტანისამოსი, გარუჯული სახე, წელზე შემოკრული ბუხრის საწმენდი იარაღის ჩხარა-ჩხური, ამათ ახლანდელ მდგომარეობის შესადარათ ეცვათ.

სანამ პოლიციის მოხელე და ლადუსეტი ლაპარაკობდენ, ყმაწვილებმა ერთმანერთს უამბეს თავიანთ განშორების შემდეგ რა გადახდათ თავს.

მერე პოლიციის მოხელე მოუბრუნდა იმათ და უთხრა:

— ახლა ყმაწვილებო, ნურც შეგეშინდებათ და ნურც მოერიდებით ვისმე. ეჭვი არ არის, რომ რაც მითხარით ყველა მართალია, მაგრამ თქვენი ნათქვამი უნდა გაიმეოროთ იმის წინ, ვინც ამ წამს აქ შემოვა.

ორივე ყმაწვილებს თავში გაურბინა აზრმა: ნეტა, ვინ იქნებაო? და თქმით კი არა თქვეს-რა.

პოლიციის მოხელემ ხელ-მეორეთ დააწკარუნა ზარი და ისევ იმ პატარა ბიჭმა შემოირბინა.

— უთხარ ჟანდარმებს შემოიყვანონ ტუსაღი.

ორივე ყმაწვილები შეწუხებულნი ძლივს სუნთქავდენ.

ყმაწვილებს ძალიან გაუკვირდათ, როდესაც დაინახეს ხელებ-შებოჭილი ფრანსუა, თავიანთი უფროსი, რომელსაც ერთხელ დიდ პატივსაცემათ მიართვეს შვენიერი კატლეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანსუასაც თავის მხრივ გაუკვირდა ყმაწვილების ნახვა, რომელნიც მკვდრები ეგონა. იგი შეკრთა, შეშფოთდა. პოლიციის მოხელის გამოცდილმა თვალებმა ეს მაშინვე შეამჩნიეს.

— აი, უთხრა მოხელემ დინჯათ, — ეს ის ორი ყმაწვილია, რომელნიც გინდოდათ თავიდან მოგეშორებინათ. ჩვენებას არ შესცვლით ისევ თქვენ სიტყვაზე დგეხართ?

— დიახ ბატონო, კიდეეაც გავიმეორებ. უთხრა ფრანსუამ ყრუთ.

მაშინ პოლიციის მოხელის ბრძანებით ანრიმ და მიენამ გაიმეორეს არა ერთხელ ნაამბობი თავიანთ თავ-გადასავალი.

ყმაწვილების ნაღველს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეიტყეს, რომ არა თუ ის ფული დაეკარგათ, რომელიც მიაბარეს ფრანსუას, იმას კიდეე ეპოვა და აელო ის ნაშოვარი ფულიც, რომელიც ყმაწვილებს თავიანთთვის დამალული ჰქონდათ.

ანრი და მიენა უგრეშოთ დარჩენ, ამათ ჯაფამ და ფულის მოგროვებამ ამაოთ ჩაუარა. მანქანის ყიდვის იმედი სრულებით დაეკარგათ, რადგან ამ საქმეს თავიდან უნდა შესდგომოდენ.

ამიტომ ველარც შინ დაბრუნდებოდენ მამა ფილიდორთან და დედა ფლორინასთან.

როდესაც ფრანსუა ისევ წაიყვანეს სატუსაღოში ყმაწვილებს საიმედო აღარა დარჩათ-რა, არც იმედი ჰქონდათ უკეთესი ბინა ეშოვათ, ვიდრე სადაც იყვენ ამ ჟამათ.

ანრი მიებარა სამუშაოთ რობისენის ქარხანაში, მიენა დარჩა მერძევე ცოლ-ქმართან. კვირა-უქმეებს მიენა და ანრი ერთათ ატარებდენ.

—

მიენა შველოდა ახალ დედობილ-მამობილს რძის გაყიდვას, ამათ რძე მიჰქონდათ გასაყიდათ რობისენის სახლშიაც, იქვე ქარხანაც იყო და მიენა ხანდახან შედიოდა ანრის სანახავათ.

ასე ორი ყმაწვილი თუმცა გაშორებული ცხოვრებდენ, ხშირათ ხედავდენ ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVII.

ყმაწვილები ახალ წელიწადს ყოველთვის დიდი სიამოვნებით ეგებებიან: ტკბილეულობა, გართობა, მხიარულობა მოელით ხოლმე ამ დღეს, მაგრამ ზოგიერთ დედ-მამას სილარიბის გამო არ შეუძლიანთ თავიანთ შვილებს სიამოვნება უჩვენონ. მაშინ ამათ ხელს უწყობენ ხოლმე რობისენნივით მდიდარნი და ქველ-მოქმედნი პირნი; ესენი შეადგენენ საზოგადოებას, აგროვებენ მდიდარ ხალხში ფულებს და დღესასწაულებში ღარიბებს ურიგებენ ტანისამოს, ტკბილეულობას, სათამაშოებს და სხვა ბევრ საჭირო ნივთებს.

მეტადრე რობისენი იყო ყოველთვის გულ-კეთილი და ცდილობდა დღესასწაულებში თავის ქარხანის მუშებისთვის რაც შეიძლება მეტი სიამოვნება ეჩვენებინა.

ამ წელს კლაინდეღზე უფრო ეჭირვებოდათ შველა გაჭირვებულებს, რადგან ზამთარი სასტიკი და ხანგრძლივი იყო. ზოგჯერ ღარიბების სასარგებლოთ გამართავდენ ლატარიას, ერთ ფრანკათ ნაყიდ ბილეთში უსათუოთ მოიგებდენ რამე სასარგებლოს, ხშირათ იქნებოდა ლატარიაში ჩაგდებული ასი, ხუთასი და ზოგჯერ ათას ფრანკიანი ნივთიც. ეისი ბედიც იქნებოდა და ერგებოდა სწორეთ ეს ბილეთი, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რობისენმა იყიდა თავის ხარჯით სწორეთ იმდენი ბილეთი, რამდენი მუშაც ჰყავდა ქარხანაში, მოაგროვა ყველა ახალ წელიწადს და თავის ქალს დაარიგებინა ეს ბილეთები საჩუქრათ. ალისა თითო-თითოს ამოიღებდა ყუთიდან და ხელში უდებდა მუშებს. სუყველაზე ბოლოს ალისამ გაუწვდინა ბილეთი ანრის და უთხრა: „ეისურვებ, რომ ჩემი ხელი მოგიხდესო.“

როცა ყველა წავიდ-წამოვიდა რობისენმა თხოვა ანრის, დღეს სადილათ ჩემთან წამოდიო. ყმაწვილმა უპასუხა: „ვერ გაებედავ მოსვლასო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერია, გაბედე! უთხრა სიცილით რობისენმა და როდესაც შეატყო, რომ ყმაწვილი ყოყმანობს—დაუმატა:—მე სულაც ძალას არ გატან.

— ჩემთვის თქვენთან მოსვლა დიდი ბედნიერებაა, უთხრა მორცხვათ ანრიმ,—მაგრამ ერთი-ორათ უფრო ბედნიერი ეიქნები, რომ ნება მომცეთ...

— რისა?

— თან მოვიყვანო ჩემი პატარა დაიაც.

— მიენა?

— დიაღ, ბატონო, მორცხვათ წაიბუტბუტა ანრიმ.

— ძალიან კარგი, მოიყვა მიენაც.

— გმადლობთ, დიდათ გმადლობთ, მაგითი მე სამუდამოთ დამავალეთ.

სიამოვნებით გაწითლებულმა ანრიმ აირბინა კიბეებზე მეექვსე სართულში, სადაც ელოდა მიენა, რომელიც ჩვეულებისამებრ ყოველ დღესასწაულებს ამასთან ატარებდა ხოლმე. ალისა ამ დღეს ძალიან გახარებული იყო, რადგან ზანგის ქალს ნახავდა.

დანიშნულ დროზე ორივენი მოვიდენ, რობისენის სადგომში. მიენა კანკალმა აიტანა, ოთახში შესვლა ეძნელებოდა. მაგრამ იმან ისე იცოდა, რაკი ერთხელ შეეიდოდა აგრე რიგათ აღარ მორცხობდა ხოლმე.

თავის დღეში მიენას არ ენახა ასე მდიდრულათ და ლაზათიანათ მორთული ოთახები. უკვირდა და აღტაცებაში მოდიოდა.

მეტადრე პურის-საჭმელმა ოთახმა გააკვირვა. ბროლის ჭურჭელს ათას ფრათ ეთამაშებოდა მზის სხივები. ვარაყიან თეფშებზე დახატული იყო უცხო ფრინველები და შვენიერი ყვავილები, ვერცხლის დანაჩანგალი ბრჭყვიალებდა და აოცებდა ყმაწვილს.

ეს მოწყობილება არ ეგვანებოდა ფლორინას მოწყობილებას, არც მერძევეს ჰქონდა რამე მსგავსი, ფრანსუასთან პუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რის ჭამას ხომ როგორ შეედრებოდა, სადაც საძაგელ წვენს ყველა ერთი კოვზით სლაპავდა.

ფერად-ფერად საჭმელებზე ამათ შამპანის ღვინოს ასმევედენ, ყმაწვილების გაკვირვებას და მადლობას საზღვარი არა ჰქონდათ. მოხ.ბლულებმა წამოსვლის დროს დიდი მადლობა გადუხადეს მასპინძლებს, მეტადრე პატარა ალისას.

XVIII.

მიეხედოთ ახლა ჩვენ ადრინდელ ნაცნობებს, რას აკეთებდენ, რა დღეში ჩავარდენ მამა ფილიდორი, დედა ფლორინა და მათი მანუგეშებელი და ერთგული ძაღლი კანადა.

ორმა წელიწადმა კიდეც გაიარა მას შემდეგ. ამ ოჯახს არც მხიარულება უნახავს და არც რამე ქონება მომატებია. სახლში ყველაფერი დაძველებოდათ. პარიქით კიდევ გარეთ კედელზე ყვითელი ბეჭედ-დაკრული ქაღალდი გაეკრათ, რომელიც აცხადებდა, რომ ამათი ქონება რვა დღეში უნდა გაიყიდოსო.

ბევრი რამ გადახდათ ამ ცოლ ქმარს ყმაწვილების დაკარგვის შემდეგ. თავდა პირველათ ფილიდორი ერთბაშათ ნაღვლისაგან მოწყდა წელში და ველარ შესძლო მუშაობა.

გარდა ამისა ბოთლების საცობის გაკეთებაში ბევრნი შეეჯიბრენ და მეტოქობას უწევდენ; ხელით გაკეთებას ვერ ასწრებდა, საჭირო იყო მანქანა და მის საყიდლათ ფული არ გააჩნდა. ყველა ამ უბედურებას დაერთო კიდევ უფრო საშინელი უბედურება. ალჟირიდან მომავალი გემი, რომელსაც ამისთვის მოჰქონდა ბოთლების საცობისთვის ხის ქერქი, დაიღუპა და ფილიდორი ცარიელზე დარჩა.

ყველა ამაებმა ოჯახს დიდი ზარალი მისცა, შავი-დღისთვის შენახული ფული ცოტ-ცოტა გამოელიათ. საქმეები კარგათ ველარ წაიყვანეს, სილარიბეში ჩავარდენ, ვალები თავს დაატყდათ, საქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამობრუნების იმედი დაჰკარგეს. ყველა ამ უბედურებას ფილიდორის ავათმყოფობაც ზედ-დაერთო.

თვეზე მეტი იყო, რომ ფილიდორს ქვეშაგებიდან თავი მაღლა ველარ აეღო. ნაღველმა, უიმედობამ, სილარიბემ ღონე წაართვა და მოაუძლურა.

ექიმი კარგათ ხედავდა ფილიდორის ავათმყოფობის მიზეზს და აბა რას უშველიდა. წინა დღით ფლორინას უთხრა: მაგას გამოაბრუნებს მხოლოთ უეცარი სიხარული, მოულოდნელი რაიმე სიამოვნებაო. თქვა ეს ექიმმა, დაიხუხა ქუდი და გავიდა ოთახიდან.

დაღონებული ფლორინა მიუახლოვდა საყვარელი ქმრის ქვეშაგებს. „უეცარი სიხარული, მოულოდნელი სიამოვნება!“ რა ადვილი სათქმელია ეს სიტყვები, მერე სად არი! ამ რვა დღეზე უნდა გაეყიდოთ ქონება. ამ რვა დღეზე უნდა სადმე ქალაქ-გარეთ იშოვონ სადგომათ პატარა ქოხი. აი, რა სიამოვნება, აი რა სიხარული მოელის ამის უბედურ ფილიდორს.

ფილიდორს თვალემს, ფლორინა უზის ქვეშაგებ-წინ. ქალს თვალწინ გაუბრწყინა მისმა გაღვილმა ცხოვრებამ: „რა სიყვარულით შეირთო ფილიდორი, როგორ თავდაპირველათ ხელ-მოკლეთ ცხოვრებდენ, მაგრამ თავიანთ შრომით და ყაირათობით გამართეს სახლკარი, შეიძინეს ცოტაოდენი ქონება, მერე მწარეთ მოაგონდა როგორ მოუკვდათ ერთათ ერთი შვილი. ბოლოს გაახსენდა ისიც თუ როგორ იშვილეს ორი ყმაწვილი და სხვა ბევრი ამ გვარი...

აქვე კანადას ცხვარი ჩაედო თათებში და ხვრინავდა.

ამ დროს ერთბაშათ ფილიდორმა წამოიწია ქვეშაგებიდან, ოდნავ გაიშვირა ხელი ქუჩისკენ და თქვა: აი, იქ, იქ!

—ღმერთო ჩემო! თქვა ფლორინამ,—ბოდავს. და უნდოდა ქმარი ისევ ისე მიეწვინა.

მაგრამ იმან მოულოდნელი ძალით წინაღამდეგობა გაუწია და ისევ ქუჩისკენ იშვერდა ხელს და იძახდა: „აი, იქ, იქ!

მერე ულონოთ დაეშვა ბალიშზე და თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ისინი იქნებიან, დაბრუნდებოდენ!

ფლორინამ გადმოყარა ცრემლები, ეგონა რომ დიდი სიცხე ალაპარაკებს მის ქმარს, მაგრამ ამ დროს წამოვარდა კანადა, დასუნა ჰაერი, მხიარულათ დაჰყეფა და ფიცხლავ მიეარდა კარებს.

ამავე დროს მოისმა ზარის წკარუნი. კანკალით ფლორინამ კარები გააღო, ერთ-წამს უკან დაიწია, მაგრამ ამავე დროს გაშალა ხელები და გულში ჩაიკრა ანრი და მიენა, რომლებიც ძალიან გამოცვლილიყვენ და გაზდილიყვენ.

ყმაწვილები მიეარდენ ყვირილით ფლორინას: —დედავ! დედავ!

კანადამ დაუწყო ამათ გარს ტრიალი, პირსა და ხელებს ულოკავდა და მხიარულათ ჰყეფდა.

—ოჰ! ყმაწვილებო! ჩემო საბრალო ყმაწვილებო! რომ შეიძლებოდეს კიდევ ფილიდორის გამობრუნება!

—როგორ თუ ფილიდორის გამობრუნება! განა მამა ფილიდორი ავათ არის? შესძახეს ერთ და იმავე დროს ანრიმ და მიენამ.

—ისე ძალიან ავათ არის, რომ შესაძლოა თქვენმა უეცარმა ნახვამ ბოლო მოუღოს.

ამ დროს მეორე ოთახიდან მოისმა ნელი ხმა:

—თუ ჩვენი პატარები არიან, შემოვიდენ ჩემთან.

იმავე წამს ფერ წასულ, გამხდარს და მისუსტებულ ავათმყოფს ეხვეოდენ ყმაწვილები და თავიანთი წყნარი ალერსით სულს უდგამდენ.

ავათმყოფს სიცოცხლე დაეტყო, დაუწყო ყმაწვილებს ხვევნა, ალერსი, მაგრამ მალე ს-სუსტემ დასძლია და ჩაეძინა.

ფლორინამ ცრემლით უამბო ყმაწვილებს თავიანთი უბედურება, გალატაკება და უკერდა, რომ ყმაწვილები თითქოს არ იბრალებდენ ამათ.

ბოლოს ანრიმ და მიენამ სიცილით ერთმანეთს გადახედეს და დედობილს ყურში რაღაც უჩურჩულეს. ფლორინამ ჯერ გაიკვირვა, მერე გაოცდა და გაიხარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი დღის განმავლობაში ოჯახში არეულობა იყო: ხალხი მიდიოდ-მოდიოდა, ყველაფერს სწმენდენ, ასუფთავებდენ.

სახლის კედელზე გაკრული ყვითელი განცხადება ჩამოხიეს.

ერთ დილით კარებს მოაყენეს ვეება ხის ყუთი, რომელიც დიდი სიფრთხილით ჩამოიღეს ძირს, გახსნეს. ეს იყო ბოთლების საცობის გასაკეთებელი მანქანა, რომელიც შეიტანეს სამუშაო ოთახში.

გავიდა კიდევ სამი დღე და ექიმმა ნება მისცა ფილიდორს ფეხზე წამოდგომისა.

მართლაც მოულოდნელმა სიხარულმა გამოაბრუნა ფილიდორი. გაზაფხულის მზემ მოაცოცხლა ავათმყოფი. ამან ცოტ-ცოტა იწყო სიარული, ჯერ ოთახში, მერე გარეთაც გადიოდა. ერთხელ, როდესაც ყველანი სამზარეულოში ისხდენ, შემოესმა ვიღასაც ხმა. ფილიდორი აკანკალდა, წამოხტა.

—რა მესმის! ეს ჩემი ადრინდელი მუშის ხმაა!

ამავე დროს შემოესმა სამუშაო ოთახიდან ხმაურობა.

—თითქოს იქ მუშაობენო!—გაიკვირვა ფილიდორმა.

მუხლები უკანკალებდა, მაგრამ მაინც დააპირა ოთახიდან გასვლა, მიენა და ანრი ამოუდგენ მხრებში და ისე წაიყვანეს მის პატარა ქარხანაში.

ფლორინა უკან გაჰყვა.

ფილიდორმა რომ დაინახა ის მანქანა, რომლის შეძენაზედაც მთელი თავისი სიცოცხლე ოცნებობდა, სიხარულით კინაღამ გულს შემოეყარა. ამისი ადრინდელი მუშა გაჩქარებული საქმეს ადგა და ისე მიესალმა ფილიდორს თითქო წინადღეს ენახოთ ერთმანეთი.

ფილიდორი თვალებს არ უჯერებდა, სიხარულით აღარა ესმოდარა, თავისი ბედნიერება არა სჯეროდა, დასარწმუნებლათ მივიდა და ხელი ახლო მანქანას, შინჯვა დაუწყო, თვალებმა ხომ არ მიმტყუნესო.

— ნუ თუ ეს ყველა ჩემია? ვინ მომცა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყმაწვილებმა მოგიტანეს, უთხრა მხიარულათ ფლორინამ,— ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარეს, მაგრამ მაინც წადილი აისრულეს.

ანრი და მიენა მოუსხდენ გვერდით ფილიდორს და უამბეს თავიანთი გაჭირება და თავ-გადასავალი.

— უსათუოთ ჩვენ ველარ გვნახავდით, რადგან დაპირების ასრულება ძალიან ძნელი იყო, რომ უცბათ ანრის ბედი არ გაღიმებოდა და ლატარიაში არ მოეგო ათასი ფრანკი. დააბოლოვა ამითი მიენამ თავიანთი ამბავი და ორივე ყმაწვილები მხურვალეთ ჩაეკვრენ დედობილს და მამობილს გულში

ან. წ—ის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტე და უმაწვილები.

ბატარაები ხომ ყოველ კაცს უყვარს, მაგრამ ქრისტეს კიდევ უფრო უყვარდა, როცა იგი ქვეყნათ ბრძანდებოდა, ხალხი მუდამ მრავალი მიდიოდა მასთან: უნდოდათ მისი შვენიერი სახე ეხილათ, საკვირველი სწავლა მოესმინათ და სასწაულები ენახათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ მაცხოვარი თავისი მოწაფეებით სახლში ბრძანდებოდა. მოწაფეებმა კარში გაიხედეს და დაინახეს რომ მრავალი დედაკაცები მოსულიუვენ თავიანთი ჰატარა უმაწვილებით ქრისტეს სანახავათ.

მოწაფეებმა იფიქრეს, ბალღები ჩვენს მოძღვარს შეაწუხებენო და ამიტომ დედაკაცები ქრისტესთან არ მიუშვეს. ქრისტემ რომ მოწაფეების ურიგო ქცევა გაიგო, მრიელ გაუჯავრდა და უბრძანა: ნუ უშლით, შემოუშვით დედა-კაცები თავიანთი ბალღებითო.

გახარებული დედები ქრისტეს გარს შემოეხვიენ და შვილებიც წინ წააყენეს. ქრისტე სიყვარულით მიეგება ჰატარეებს; ერთი უმაწვილი ხელში აიყვანა, ზოგსაც თავზე გადუსვა ხელი და ისე დალოცა იგინი.

მერმე წინ წამოაყენა ერთი ჰატარა, მიუბრუნდა მოციქულებსა და ხალხს და უთხრა: ხომ ხედავთ ამ ჰატარა ბავშს! ვისაც უნდა ცხონდეს და სასუფეველი დაიმკვიდროს, ასეთი წმინდა გულისა, უმანკო და უდანაშაულო უნდა იყოსო.

ამას მან ერთხელ ისიც დასძინა, რომ ვინც ჰატარა უმაწვილს შეაცდენს და ცუდ რამეს ასწავლის, ის ურჩევნია, კისერზე წისქვილის ქვა მოიბას და დიდ მორევში გადავარდესო

გ. წყალტუბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ლორდის თავ-გადასავალი.

I.

მოულოდნელი ამბავი.

ცედრიკი ოთხი წლისა იქნებოდა, როცა მამა მოუკვდა. ბავშს ის ცოტათი ახსოვდა; ახსოვდა, რომ ის მაღალი ტანის, გძელ-ულვაშებიანი კაცი იყო და მის მხრებზე ჯდომას არაფერი ჯობდა. როცა მამა ავათ გახდა, პატარა ვაჟი ნაცნობებისას გადაიყვანეს,—სახლში რომ მობრუნდა—ყველაფერი გათავებული იყო; დედა მისს მძიმე ავათმყოფობა გამოველო და ის იყო ლოგინიდან წამომდგარიყო; გაჰხდარი და გაყვითლებული ის მოწყენილი იჯდა სავარძელში ფანჯრის წინ; სახეზე ჩვეულებრივი ღიმილი ალარ უთამაშებდა, თვალებს მწუხარე გამომეტყველება მიეღო და თითქოს კიდეც გადიდებულიყვენ. ახალგაზდა ქალი შავებში იყო.

— ჩემო ძვირფასო!—უთხრა ცედრიკმა დედას, (მამა მისი თავის ცოლს ყოველთვის „ძვირფასს“ უძახოდა და ბავშიც მას ჰბაძავდა),—ჩემო ძვირფასო, მამა მორჩა?

დედამ აკანკალებული ხელები მოხვია შვილს, ბავშმა შეანათა მას თვალები და იგრძნო, რომ აგერ აგერ ტირილს დაიწყებდა.

— ძვირფასო, მორჩა მამა ჩემი?—გაიმეორა ბავშმა, მოეხვია დედას ყელზე და კოცნა დაუწყო. დედამ ჩაიკრა გულში თავის ვაჟი და მწარე ტირილი დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო,—ქკითინით უპასუხა მან,—ის მორჩა, ის ახლა კარგათ არის... მაგრამ მე და შენ კი—მარტო დავრჩით ქვეყანაზე!

ბავში მარტო ოთხი წლის იყო, მაგრამ იგრძნო, რომ მისი ლამაზი მამა იმათთან ალარ დაბრუნდებოდა, თვით სიკვდილი რაში მდგომარეობდა—ამას კი, რასაკვირველია, ვერ გაიგებდა, რადგანაც დედა მაშინვე ტირილს დაიწყებდა, როგორც ცედრიკი მამას ახსენებდა, მან გადასწყვიტა, ეჯობინება, სულ ალარ ვახსენო ის და ვეცადო, რამე ნაირათ დედა გავართოვო.

ცედრიკი და მისი დედა მყუდროთ და განმარტოვებულათ ცხოვრებდენ, ნაცნობები თითქმის სულ არა ჰყავდათ; ბავში ამას ყურადღებასაც არ აქცევდა, მხოლოთ როცა გაიზარდა, მაშინ გაიგო ამის მიზეზი.

დედა მისი ობოლი იყო და ქალიშვილობაში ერთ ბებერ, კაპას ლედისთან ცხოვრებდა. კაპიტან ეროლი, ცედრიკის მამა, ხშირათ დადიოდა ამ ქალთან, ხედავდა ახალგაზდა ქალიშვილის მწუხარე მდგომარეობას და ძალიან ეცოდებოდა ის. ბოლოს გადაწყვიტა მისი შერთვა და კიდევაც აასრულა თავის გადაწყვეტილება, თუმცა მთელი მისი ოჯახი, განსაკუთრებით მამა, გრაფ დორინკორტი, ძალიან წინააღმდეგი იყო ამ ქორწინებისა. გრაფ დორინკორტი მდიდარი და შეძლებული ინგლისელი იყო, რომელსაც საშინლათ სძულდა ამერიკა და მისი მცხოვრებნი. კაპიტან ეროლის გარდა ორი იმაზე უფროსი ვაჟი ჰყავდა. ინგლისელი კანონის ძალით მამის სიმდიდრე და სახელი უფროს ვაჟზე და მის შვილებზე გადადის, სხვები კი ისე რჩებიან. თუ უფროსი ვაჟი უშვილოთ მოკვდა, ყველაფერი მის მომდევნო ძმას რჩება. როგორც ეხედავთ, კაპიტან ეროლს არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა, მამის მემკვიდრეთ გამხდარიყო.

თითქოს განგებო, ის ყველაფრით სჯობდა თავის უფროს ძმებს. ის მაღალი ტანის, ლონიერი, მარჯვე, გულადი, ლამაზი და ჭკვიანი ვაჟკაცი იყო. მისი მხიარული ღიმილი და კეთილ-შობილური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქცევა ყველას გულს მისკენ იზიდავდა, მისი ძმები კი—არც ლამაზები იყვენ და არც ჭკვიანები. სასწავლებელში იმათ არც ერთი მეგობარი არ ჰყავდათ, უნივერსიტეტშიაც არავის უყვარდა ისინი; სწავლის მაგივრათ მთელ დღეებს ქეიფში და ფულის ფანტვაში ატარებდენ. გრაფ დორინკორტი ძალიან შეწუხებული იყო იმათი ყოფა-ქცევით; ის ხედავდა, რომ არც ერთი არ იყო ღირსი მისი სახელის ტარების და იმასაც კარგათ ხედავდა, რომ მარტო უნცროსი იყო სიმდიდრის და კარგი სახელის ღირსი. მას გული მოსდიოდა, ბუნებამ ჩემი ნამდვილი მემკვიდრე რატომ არ დააჯილდოვა ასე უხვათო, მაგრამ მაინც, თავის და უნებურათ, მას თავისი ამაყი გულით და სულით უყვარდა ეს სანაქებო შვილი... ბოლოს გრაფ დორინკორტმა გადაწყვიტა, შვილი ცოტა ხანს მაინც მოეცილებინა თავიდან; მას არ უნდოდა, ყოველ წამს თვალ-წინ დგომოდა ეს მის მემკვიდრეზე უკეთესი და უფრო საყვარელი შვილი და ამერიკაში გაისტუმრა.

ნახევარ წელს შემდეგ ამაყ გრაფს ისევ მოენატრა ეროლის ნახვა. მან კიდევაც მისწერა, ჩქარა დაბრუნდიო, როდესაც უეცრათ მიიღო ეროლის წერილი: ერთ ლამაზ ამერიკელ ქალს ვირთავო. გრაფი ისე გაჯავრდა, რომ მის მსახურებს შეეშინდათ, დამბლა არ დაეცესო; მთელი ერთი საათი ის გააფთრებული ვეფხვივით დარბოდა ოთახში, მერე მიუჯდა მაგიდას და შვილს მისწერა, რაც გინდა ის ჰქენი, ჩვენი ოჯახის წევრობიდან კი ამიერიდან გამორიცხული ხარო.

ძალიან ეწყინა ეროლს ამ წერილის მიღება; მას უყვარდა თავის სამშობლო ინგლისი, უყვარდა თავისი მამის სასახლე, უყვარდა მოხუცებული მამაც, მაგრამ რაღა შეეძლო ექნა? თავის მამის ხასიათი კარგათ იცოდა, იცოდა, რომ ის აწი აღარაოდეს არ შეირიგებდა ურჩ შვილს და გადაწყვიტა, ამერიკაში დასახლებულიყო. მან გაჰყიდა თავისი თანამდებობა (ამერიკაში თანამდებობა, იყიდება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწერა ჯვარი, იშოვნა სამსახური ნიუ-იორკში და იქ დასახლდა. ცოტა ხნის იქით იყიდა პატარა სახლი ერთ მიყრუებულ ქუჩაში; აქ დაიბადა მისი ვაჟი და აქ ბედნიერათ ცხოვრებდენ სამივე; ერთხელაც არ გაუვლია გულში ეროლს, უბრალო ქალი რათ შეეირთვეო, ცოლი შვენიერი გამოადგა; ახალგაზდა ქალს სულით და გულით უყვარდა თავისი ქმარი და სულ იმას ცდილობდა, მისთვის რამე ესიამოვნებინა.

თუმცა ცედრიკი პატარა და ღარიბ სახლში დაიბადა, ის თავის თავს ძალიან ბედნიერათ გრძნობდა. ავათ ერთხელაც არ გამხდარა, ყოველთვის კაი გუნებაზე იყო, ყოველთვის იღიმებოდა და ამასთანავე შესანიშნავი ლამაზიც იყო; გძელი ხუჭუჭი თმა ლამაზათ ეხამებოდა მის პირისახეს, დიდრონი თაფლის ფერი თვალები მხიარულათ შეცქეროდენ არე-მარეს, პატარა წითელი პირი ყველას უცინოდა... ჯერ ცხრა თვისაც არ გამხდარიყო, რომ ფეხი აიდგა. როცა ქუჩაში გაიყვანდენ სასეირნოთ, გამვლელ-გამომვლელები ალტაცებით გაადევნებდენ ხოლმე თვალს პატარა ვაჟს...

იმ ქუჩაზე მცხოვრებნი ყველა იცნობდენ ბავშს და ყველას უყვარდა ის... იქაურ მედუქნესაც, რომელსაც არავინ არ უყვარდა, სულში ჩასაძვრენათ არ ენანებოდა ცედრიკი და სახე გაუბრწყინდებოდა ხოლმე, როცა ის მის დუქანში შეეიდოდა.

ბავში დღითი დღე ლამაზდებოდა, შეხედულობასთან შესაფერი გულიც ჰქონდა. ყველა უყვარდა, ყველა ებრალებოდა, ცდილობდა, რაც შეეძლო, ყველასთვის ესიამოვნებინა.

როცა ცედრიკი დარწმუნდა, მამა ჩვენთან აღარ დაბრუნდებაო, მთელი თავისი ყურა ელება და სიყვარული დედაზე გადაიტანა. ახალგაზდა ქალი თითქმის სულ ფანჯრის წინ იჯდა, მოწყენილი, ხმა-ამოუღებლათ.. ბავში ცდილობდა, რამენაირათ გაერთო ის; მოვიდოდა ხოლმე, ჩაუჯდებოდა კალთაში და ხელებს გადახვევდა, ან დაადებდა თავის თმა-ხუჭუჭა თავს მუხლებზე; ან და მიიტანდა თავის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშობს და ჩუმათ თამაშობდა მის წინ; საწყალ ბავშს სხვა ვერაფერი მოეგონა, მაგრამ დედას ამითიც ძალიან ასიამოვნებდა.

— მერი, —ეუბნებოდა ახალგაზდა ქალი თავის მოხუც მოსამსახურეს, ცედრიკს უნდა, რომ გამართოს; ისეთი მოსიყვარულე და მოწყენილი თვალებით მიყურებს, თითქოს ვეცოდებოდე, სულ მეფერება... მე დარწმუნებული ვარ, რომ მაგას ესმის ჩემი მდგომარეობა. რაც უფრო იზდებოდა, ცედრიკი უფრო და უფრო ცდილობდა თავის დედის გართობას. ხუთი წლისამ მან კითხვა დაისწავლა და საღამ-საღამოობით ხმა-მაღლა უკითხავდა ხოლმე დედას თავის საბავშო წიგნებს, ხან და ხან გაზეთების კითხვასაც კი მოჰკიდებდა ხელს. მერის სამზარეულოდან ხშირათ ესმოდა, როგორ სიცილს დაიწყებდა ხოლმე მისი ქალბატონი, როცა ბავში თავის აზრებს გამოაცხადებდა გაზეთში წაკითხულ ამბების შესახებ. მერის გატაცებით უყვარდა პატარა ცედრიკი; ის ამ სახლში ერთათ ერთი მოსამსახურე იყო, გამდელიც ის იყო, მზარეულიც და გოგოც. საღამოობით ის მოუჯდებოდა ხოლმე გვერდში თავის ქალბატონს და ეხმარებოდა ცედრიკის ტანისამოსის კერვაში.

— აი, შეხედეთ, რა შვენის ბავშს შავი ხაევრდის ტანისამოსი! —ტრაბახობდა ხოლმე ის თავის ნაცნობებთან.—ქალბატონის ძველი კაბიდან არის შეკერილი, მაგას კი ისე შვენიერათ ადგია, რომ ნამდვილ პატარა ლორდს ჰგავს!

ცეტრიკმა არც კი იცოდა „ლორდი“ რა იყო.

მისი საუკეთესო მეგობარი—მედუქნე გობსი იყო. დუქანი ქალბატონ ერროლის სახლთან ახლოს იყო და ცედრიკი იქ ხშირათ დაიარებოდა. ბავში ძალიან პატივს სცემდა გობსს და დარწმუნებული იყო, მაზე მდიდარი და შესანიშნავი კაცი მთელ დედა მიწის ზურგზე არ მოიპოვებოდა. აბა სხვას ვის ექნებოდა ამდენი ფორთოხალი, შავ-ქლიავი და სხვა ტკბილეულობა? ამას გარდა მედუქნეს საკუთარი ცხენი ჰყავდა და ურემიც ჰქონდა. ცედრიკს მერძევე და მეპურეც უყვარდა, მაგრამ გობსი ყველას ერჩია, ყოველ დღე დადიოდა მასთან და ორივე მეგობარი ხანგრძლივ საუბარში ერთობოდენ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენ რამეს არ უამბობდა გობსი თავის პატარა სტუმარს! მან დაწერილებით დაასწავლა ბავშს ამერიკის აჯანყების ამბავი, ამერიკელების და ინგლისელების ომი... უამბობდა იმ კაცებზე, რომლებმაც ამ ომში თავი იჩინეს, უამბობდა მტრის სიმდაბლეზე და ამერიკელების მამაცობაზე... ცედრიკი ისე გულმოდგინეთ უგდებდა ხოლმე ყურს, რომ თვალები უბრწყინდებოდა, ლოყები უწითლდებოდა და ხუჭუჭი თმა სულ გაეწეწებოდა... ხშირათ გობსი გაზეთებსაც უკითხავდა ბავშს...

ცედრიკი რომ რვა წლისა გახდა, სწორეთ იმ დროს რაღაც არჩევანები მოხდა ნიუ-იორკში და ამ შემთხვევას დღესასწაულობდენ; გობსი საყურებლათ წავიდა და ცედრიკიც თან წაიყვანა. ყველა დამსწრემ შენიშნა რომ დღესასწაულობის დროს ერთ სვეტთან მაღალი სხვილი კაცი იდგა, მის მხრებზე კი ლამაზი თმა ხუჭუჭა ვაჟი იჯდა, ქუდი ხელში ეჭირა და მხიარულათ აქნევდა მას.

ამას შემდეგ ბევრი დრო არ გასულა, რომ ცედრიკის ცხოვრება სრულიად შეიცვალა.

ერთ დილას ძალიან ცხელოდა. ცედრიკი და მისი რამოდენიმე ამხანაგი ერთათ თამაშობდენ. როცა თამაშით გული იჯერა, ბავში გობსის დუქანში შეავიდა და ნახა რომ მისი მეგობარი ძალიან გაჯავრებული იყო; ხელში მას დიდი სურათი ეჭირა, რომელზედაც დახატული იყო დღესასწაული ინგლისის ხელმწიფის სასახლეში.

— აი, აი რა საქმეში არიან გართული ინგლისელები! — გულმოსულათ წამოიძახა მან. — მაგრამ დაიცადონ! აჯობებენ, როდესაც იქნება, ამერიკელები ყველა ამ მარკიზებს და ლორდებს!

— იცნობთ თქვენ ვინმე მარკიზს ან ლორდს? — ჰკითხა ცედრიკმა, რომელიც ჩვეულებრივათ მაღალ სკამზე შეჯდა, ქუდი უკან გადაიწია და ხელები ჯიბეში ჩაილაგა.

— არა! — მკაცრათ უპასუხა გობსმა. — მაგრამ ნეტავი ერთი მათგანი ჩამოვარდებოდეს ხელში! მაშინ კი ვნახავდი, როგორ გაბედავდა ამ ჩემ დუქანში შამოსვლას! ჩემ საეჭროებს ახლოც ვერ მიეკარებოდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნება, სხვა საქმე რომ იშოვნონ, ლორდობაზე უარი თქვან! —შენიშნა ცედრიკმა, რომელსაც გობსის სიტყვების გაგონებაზე შეეცოდა ის უბედური ლორდები და მარკიზები.

— კი, როგორ არა!—უპასუხა გობსმა.—ისინი ამაყობენ თავის ლორდობით და მარკიზობით! ყველა საძაგლები არიან, ყველა!

ამ დროს ოთახში მერი შემოვიდა. ის გაწითლებული და აღელვებული იყო.

— წამოდი სახლში, ჩემო კარგო. უთხრა მან ბავშს.—დედა გიძახის.

ცედრიკი სკამიდან ჩამოხტა.

— ჩემი სასეირნოთ წაყვანა ხომ არ უნდა?—ჰკითხა მან მერის.

—მშვიდობით, მისტერ გობს, მე ისევე მალე გესტუმრებით.

მერი ხმას არ სცემდა ბავშს და სულ თავს იქნევდა.

— რა მოხდა, მერი? რას გაწითლებულხართ?—ჰკითხა ბავშმა. —ხომ არ დაგცხათ?

— არა,—უპასუხა მერიმ.—მაგრამ ერთი საკვირველი ამბავი მოხდა...

— ჩემ ძვირფასს თავი ხომ არ ატკინა ამ სიცხემ? შეშინებით ჰკითხა ცედრიკმა.

— არა, არა, სხვა საქმე მოხდა.

როცა მერიმ და ბავშმა სახლამდის მიაღწიეს, ცედრიკმა დაინახა, რომ შესავალ კარებთან ეტლი იდგა, ოთახში კი დედა მისს ვილაც ელაპარაკებოდა. მერიმ ბავში ჯერ მეორე ოთახში შეიყვანა, ახალი ტანისამოსი ჩააცვა, ფართე წითელი ქამარი შემოარტყა და ხუჭუჭი თმა ლამაზათ დაუვარცხნა.

— ღმერთო, ეს რა საკვირველი ამბავი მოხდა!—ბუტბუტობდა ის,—ეჰ! არაფრათ არ ვარგიან ეს ლორდები!

ყველა ამან ძალიან გააკვირვა ცედრიკი, მაგრამ ის დარწმუნებული იყო, დედა ყველაფერს აუხსნიდა და ამიტომ მერისთვის აღარაფერი უკითხავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოწყობილი და გალამაზებული პატარა ბავში შეეიდა სასტუმრო ოთახში. იქ მაღალი, გამხდარი მოხუცებული კაცი იჯდა საეარძელში და დედა მისს რაღაცას ელაპარაკებოდა, ახალგაზდა ქალი კი მის წინ აღელვებული იდგა; ის გაფითრებული იყო და თვალში ცრემლები მორეოდა.

— ოჰ, ჩემო ცედი! —წამოიძახა მან, მიირბინა ბავშთან, მოხვია ხელი და შეშინებულივით კოცნა დაუწყო.

მოხუცი კაცი წამოდგა საეარძლიდან და შეაჩერდა ცედრიკს თავის გამჭრიახი თვალებით; ეტყობოდა, ბავშის დათვალიერებით კმაყოფილი დარჩა.

— მაშ ეს არის,—გარკვევით წარმოთქვა მან ბოლოს,—ეს არის პატარა ლორდი ფაუნტელროი?

ე—ბ.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემს გარფილდის ცხოვრება.

XVIII.

ულ ორიოდე დღე გავიდა რაც გარფილდი სახლში დაბრუნდა და იმან კიდევ სადღაც წასვლა დააპირა.

—მერე როდის დაბრუნდები? ჰკითხა დედამ.

—როდესაც სკოლაში ადგილს ვიშოვი, თუმცა ძალიან ძნელი კია ეს.

—ღმერთი შეგეწევა, არც ისე ძნელი იქნება, როგორც გგონია,—ანუგეშებდა დედა, გახარებული მით, რომ ჯემსმა ძლიეს არჩია მასწავლებლობა ზღვის სამსახურს.

იმათ სახლიდან კარგა შორს იყო ის სკოლა, სადაც მასწავლებლის ადგილი გაიხსნა. ჯემსი იქ ფეხით წავიდა.

მიეიდა, მისცა თხოვნა, მაგრამ უარი უთხრეს.

—ჩვენ ბალღები არ გვესაჭიროებაო.

—მოწმობა მაქვს ჩესტერის სემენარიის დირექტორისაგან, ბ. ნ. ბრენჩისაგან, მოკრძალებით შენიშნა ჯემსმა.

—მერე რა ვუყოთ? შეიძლება იქ ბევრი რამ შეისწავლეთ, მაგრამ ამით ხანი კი არ მოგმატებიათ, უიმისოთაც ბევრი გვყავს „ბალღები“. გარფილდს თითქო ცივი წყალი გადაასხესო, წავიდა სხვა მახლობელ სკოლაში და იქაც ითხოვა ადგილი.

—ვწუხვართ, რომ დაიგვიანეთ. ერთი კვირით ადრე რომ მოსულიყავით, დიდის სიამოვნებით მიგიღებდით, უთხრა კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრმა. სცადეთ, წადით ნელსონთან ნორტონის ოლქში. სამი მილია აქედან, იქაც არის სკოლა.

წაჩანჩალდა ჩვენი გარფილდი ხსენებულ ადგილს; დაღამებისას ძლივს მიაღწია, მაგრამ იქაც ადგილი უკვე დაჭერილი იყო. იმ ღამეს ნელსონმა ღამე თავის სახლში გაათევინა. არ სწყალობდა ბედი ჯემსს. საითაც წავიდოდა, ყველგან დაბრკოლება შეხვდებოდა: ზოგი ეტყოდა ეწუხვართ, რომ თქვენ ჩესტერის სემენარიიდან ხართ: იქიდან საზოგადოთ კაი მასწავლებლები არ გამოდიანო; ზოგან ეტყოდენ, ბავში ხართო და სხვ. მობეზრდა ეს ჯემსს. მეორე ღამეს დაბრუნდა თუ არა შინ—განაცხადა:—ამას შემდეგ სკოლის მასწავლებლის ადგილის ძებნა ღმერთმა მაშორისო.

დედამ შეამჩნია დაღალულ—დაქანცულობა, ადრე დაუკო და დააწვინა.

—ხვალ ძია ამოსს მოველაპარაკოთო, უთხრა დედამ: ის გასწავლის, თუ როგორ უნდა მოიქცე და ვის მიმართო. ნუ სწუხარ, ღმერთი მოწყალეა, კარგათ მოაწყობ საქმეს.

დაწვნენ კიდევაც. ალიონზე უცებ ჯემსს მოესმა, ვითომ ვილაც დედა მისს ეძახოდა და კითხულობდა,—ჯემსი სად არისო.

—შინ არი. ჯერ არ ამდგარა. რათ გინდათ? ჰკითხა დედამ.

—თუ შეიძლებოდეს, შემიტყეთ—იკისრებს თუ არა ჯემსი ლეჯი', სკოლის ზედამხედველობას.

„სკოლის" ხსენებაზე გარფილდი წამოვარდა ლოგინიდან, უცებ ტანთ ჩაიცვა და გამოვიდა მოულოდნელ სტუმაროან მოსალაპარაკებლათ, რომელიც აღმოჩნდა, ოგიოს შტატის სამოსწავლო კომიტეტის წევრი.

ერთი მილის მანძილზე იყო ამათგან ის სკოლა, სადაც იწვევდენ ჯემსს მასწავლებლათ.

—მე მოვედი გთხოვოთ თქვენ, რომ იკისროთ ლეჯის სკოლის მასწავლებლობა—უთხრა მეზობელმა.—ჯამაგირი კარგი გექნებათ: 12 დოლლარი თვეში და მუქთი სადილ-ვახშამი. მაგრამ ადრეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიცხადებთ, რომ ჩვენი სკოლა - სკოლა კი არ არის, არამედ თავაშვებული ბავშვების გროვაა, რომელნიც არავის ჩირათაც არ აგდებენ, ასე რომ შრომა დიდი დაგჭირდებათ.

— ეგ კიდევ არაფერია - უპასუხა ჯემსმა, მაგრამ აი რა არის მოუხერხებელი: ჩვენ მეზობლები ვართ და ბავშვები დაახლოებით მიცნობენ, ვაი თუ ვერას გავხდე; ბევრით უკეთესია—მასწავლებლობა სრულიად უცნობ ადგილს, სადაც უფრო ადვილათ შეიძლება სასტიკი წესიერების შემოღება.

— ჩემის აზრით მაგათთანა თავხედებთან ერთი ღა საშუალება გაგვია: ყოველ დღე ყველა მათგანი უნდა გაიწკეპლოს და გათავდა! მეტის მეტია. აგერ ორი მასწავლებელი გამოიცვალეს. დროა გონს მოვიყვანოთ. თქვენ ჯოხი არ უნდა მოიშოროთ.

ამის გაგონებაზე ჯემსს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. დედამ ეს შენიშნა.

— ერთი დღე ვადა მიეცით—მოიფიქრებს, უპასუხა მან შვილის მაგივრათ,— ხვალ გაცნობებთ.

— ძალიან კარგი. აბა თქვენ იცით თუ იმედს არ გამიცრუებთ, — თქვა მეზობელმა და გაემგზავრა შინისკენ.

საუზმის შემდეგ გარფილდისამ ურჩია შვილს წასულიყო ბიძა ამოსთან, რომლის დაუკითხავათ მათ ოჯახში არაფერი გადაწყდებოდა ხოლმე. ბიძიამაც მეზობლის სიტყვები გაიმეორა: —ლეჯის სკოლა შლეგების ბუდეა და ბევრი შრომა დაგჭირდებაო.

— უბედურება ეს არი, რომ ყველა მიცნობს, 'მენიშნა ჯემსმა.

—პირიქით, მე სწორეთ მაგისთვის გირჩევ იმ ადგილზე დადგომას. ბავშვმა იციან, რომ შენ კლასში ხუმრობა არ გიყვარს, სასტიკი, მაგრამ სამართლიანი კაცი ხარ, მერწმუნე, ისინი იმისთანა კაცს, რომლისაც ეშინიანთ და თანაც პატივსა სცემენ, თავისდღეში წინააღმდეგობას არ ვაუწევენ.

—მაშ, ბიძია ჩემო, დავთანხმდე? ჰკითხა ჯემსმა. მოხუცი ცოტა ხანს დაფიქრდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დათანხმდი, უთხრა მან ბოლოს. — თუ კი შენ შეხვალ სკოლაში მასწავლებლათ, როგორც ჯემს გარფილდი და ბავშები საშ წელს შემდეგ ისე პატივის ცემით მოგეპყრობიან, რომ ბატონ გარფილდს გიწოდებენ, მაშინ შენ სახელს გაითქვამ და მთელს მაზრასაც დიდ სარგებლობას მოუტანთ. ბავშები ხომ მომავალი წევრები არიან საზოგადოებისა.

— მაშ კარგი, მივიღებ იმ ადგილს, — განაცხადა ჯემსმა.

— ჩემის აზრით, მაგაზე უკეთესს შენ ვერას იზამ, — დაემოწმა ბიძია.

ორი დღეც არ გასულა ამ ბაასს შემდეგ და მთელ ოლქში გავრცელდა ხმა, ჯემს გარფილდი მომავალ ზამთრიდან ლეჯის სასწავლებელს ჩაიბარებსო. ბავშები ერთ ამბავში იყვენ, ატყდა მათ შორის გაუთავებელი კამათი.

— მე მიყვარს ჯემსი, განაცხადა ერთმა უფროსმა მოსწავლემ. — სწორეთ კაი ბიჭია, თანაც მეცნიერია, ყველა ჩვენ მასწავლებლებს გაცილებით აჯობებს. მასთან ვერ იზარმაცებს კაცი და არც ხუმრობა უყვარს.

ჯემსი თუმცა არ ამჭლავნებდა, მაგრამ ძალიან შიშობდა. პირველ დღეს, როცა სკოლაში წასასვლელათ ემზადებოდა, ღიმილით უთხრა დედას: — იქნება შუადღემდე უკანვე დავბრუნდეო.

— მე კი დარწმუნებული ვარ, რომ შენ კარგათ წაიყვან საქმეს, მიუგო დედამ, რომელსაც უნდოდა შვილი გაემხნევებინა. გარფილდმა წინდაწინვე გაითვალისწინა, თუ როგორ უნდა მოპყრობოდა ბავშებს — უჯოხოთ.

პირველათვე მოსწავლეებს მოკლე, მაგრამ შინაარსიანი და თანაც მეტათ გრძნობიერი სიტყვით მიმართა; „მოვედი დაგეხმაროთ და არა გცემოთ, ამბობდა ჯემსი, — თქვენ სკოლის მნიშვნელობა კარგათ უნდა დააფასოთ, უნდა ცდილობდეთ სახელი არ წაუხდინოთ თქვენის ქცევით. მაშ ვიშრომოთ მეგობრულათ, დავაწინაუროთ ჩვენი სკოლა და დავაყენოთ იგი ყველა მახლობელ სკოლებზე მაღ-

ლა. თქვენზეა დამოკიდებული საქმის კარგათ წაყვანა. ისე დაიჭირეთ თავი, რომ ლეჯის სკოლა სამაგალითოთ ითვლებოდეს.

ჯემსმა ყველას თავის შესაფერი საქმე გაუჩინა კლასში; ამბები, რომლებსაც იგი პატარა ბავშებს უკითხავდა, ყოველთვის უბრალო, ადვილ-გასაგები და საინტერესო იყო მათთვის. უფროსებს ხმა-მაღლა აკითხებდა და ერთმანეთს აჯიბრებდა და ეს მათ ძალიან მოსწონდათ. თავისუფალ დროს კი ყველასთან საერთოთ სხვა-და-სხვა თამაშობაში ერთობოდა, მაგრამ ამასთანავე იცოდა თავის დაჭერა, ასე რომ თვითთ თავზე ხელ-აღებული ყმაწვილებიც როგორღაც ძალა-უნებურათ მოკრძალებით ექცეოდენ და გულ-წრფელათ პატივსა სცემდენ.

იქაურ ჩვეულებისამებრ ჯემსი რიგ-რიგათ თავის შეგირდების მშობლებთან ცხოვრებდა; ამნაირათ ერთ ზამთარში ყველა მეზობლები მოიარა. ზოგან ერთი კვირა დაჰყო და ზოგან ორი. ჯემსის სტუმრობამ ყველას მოუტანა სარგებლობა. ბავშებთან გაკვეთილებს ამზადებდა, მშობლებთან ბაასობდა; საღამოობით ხმა-მაღლა უკითხავდა ხოლმე წიგნებს ან და არაჩვეულებრივის ენა-მახვილობით მოჰყვებოდა სხვა-და-სხვა შემთხვევებს ხან თავის ცხოვრებიდან და ხან წიგნებიდან.

რაღა თქმა უნდა, რომ მასწავლებელსა და ბავშებ-მშობლებ შორის მჭიდრო, გულითადი და მეგობრული კავშირი დაფუძნდა.

კვირაობით გარფილდი დედასთან იყო ხოლმე.

როცა სამოსწავლო წელიწადი გათავდა, მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა ერთხმათ განაცხადეს: ჯემს გარფილდისთანა კარგი მასწავლებელი ჯერ არ გვყოლიაო. მოწმობაც ამგვარი მისცეს. ბიძია ამოსის წინასწარმეტყველებაც ახდა, ახალგაზდა მასწავლებელმა, რომელსაც ბავშები წინეთ „ჯემსის“ სახელით იხსენიებდენ, გაზაფხულზე, გამოთხოვების დროს თავის ყურით გაიგონა, რომ შეგირდები ახლა მას „ბატონო გარფილდო“-ვო ეძახდენ.

ჯემსი ისევ ჩესტერის სემენარიაში დაბრუნდა, მაგრამ უწინდელი დიასახლისის მაგიერ თავის ძველი მეგობარ-ეუდვორტის სახლში დადგა.

ბატუა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქრო-ძმოგილი.

(ნათარგმნი ზღაპარი)

I.

ერთხელ ერთ მთაში ცხოვრებდა ორი ძმობილი—ოქრო და რკინა. თუმცა ისინი ძალიან ღრმათ იყვენ დედა-მიწის გულში, მაგრამ ეს სრულიათაც არ უშლიდა იმათ მუდამ ერთმანეთთან ჩხუბსა და განხეთქილებას. პირველათ ყოველთვის ოქრო-ძმობილი აშლიდა ხოლმე ჩხუბს, რადგანაც ის მეტის მეტი უკუნური, თავმოყვარე, მკვეხარა და სულელი იყო.

— რკინა-ძმობილო! აბა ერთი, თუ ძმა ხარ, შენ თავზე დაიხედე! რასა გვეხარ შეუბედურო: გათხუპნულხარ, გაშავებულხარ, თითქო ნახშირის ტომარა დაუბერტყიათ შენ თავზე! შესძახებდა ოქრო-ძმობილი გულიანი ხარხარით.

რკინა— ძმობილი ამ დაცინვა-მასხარაობას სიჩუმით მოისმენდა, რადგანაც „ყბედს ყოველთვის მუნჯი მოლალავს“ და იმასთან ბაასი უსიამოვნების მეტს არას გამოიწვევესო!.. ეს სიჩუმე უფრო აბრაზიანებდა ოქრო-ძმობილს და ის ხან რას მოიგონებდა და ხან რას, რომ იმასაც გაებრაზებინა თავისი ძმობილი.

— აბა, რას მეჩხუბები? რა კარგია ერთმანეთში უსიამოვნება? ჩვენ ჭომ ნათესავები და თვის ტომნი ვართ! დაიწყებდა ისევ ოქრო-ძმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი: რა საკვლიბა, ნათესავთ შორის ჩხუბი და უთანხმოება! თუ ჭკვიანი ხარ, შენთვისა ხარ!.. მაგრამ მე კი ბრალი არა მაქვს, რომ ხალხს შენზე მეტათ მე ვუყვარვარ!..

— კარგი ერთი, ნუ რომაე მოშლილ წისქვილივით! ენა ხომ არ გექაეება!? უყვარხარ და უყვარდე! მიუგებდა, მოთმინებიდან გამოსული რკინა-ძმობილი.

— დახე, დახე, გულიც რო მოუვა! დააყრიდა სიცილს ოქრო-ძმობილი:— რაც მართალია მართალია და რათა გწყინს? მე ყველას ვუყვარვარ და რა ექნა!... იქნება არც კი იცი, რათა ვარ მე ყველას საყვარელი?

— ერთი დამეხსენ, თუ ღმერთი გწამს და!..

— არა, ყური დამიგდე: თუმცა შენ დიდათ მოგაქვს თავი, ასეთი ვარ, ისეთი ვარო, ჭკუა-გონებით საესე ვარო, მაგრამ იცოდე სცდები: შენით კი არა, ჩემით კეთდება ყველაფერი ქვეყანაზე! გარწმუნებ, რომ ეს ასეა: ოქროთი ყველაფერი შეიძლება შეიძინო, რა გინდა სულო და გულო! ყველაფერი შეგიძლიან აასრულო, ყველაფერს მიახწევ! უჩემოთ კაცი არ ვარგა, სიკვდილი უმჯობესია იმის სიცოცხლეს!... რკინა! აბა რა შეილია რკინა? ჯერ სახელი გაუშინჯე!.. იმას მხოლოთ უბრალო რამეებზე ხმარობენ და ამასთან, ენახოთ, წამ და უწუმ ჟანგდება!. ოქროს რა შეედრება? ბრჭყვიალებს, როგორც მზე და ჟანგიც არ ეკარება.... რა ექნა, ძამიაე, ბოდიშს ვიხდი, უნდა მომიტევო, რომ შენზე კარგი დავბადებულვარ! ჩემი ბრალი არ არის, ღმერთმა ხომ იცის! ხა! ხა, ხა, ხა!..

— კარგი, ძმაო, კარგი! მჯობიხარ და მჯობდე, ვინ გედავება-მჯობნის მჯობნე არ დალეულა! დაემოწმებოდა გაჯავრებული რკინა-ძმობილი: ჩემი აზრით კი ის არის კარგი, ვისაც და რასაც ყველასთვის დიდი სარგებლობა მოაქვს!..

— მე კეთილ შობილი ლითონი ვარ, შენ კი უბრალო!.. მე რასაც მოვინდომებ, იმას ჩაგადენინებ. მიხვდი?.. არა სწორეთ მომბეზრდა და მეთაკილება კიდეც შენ გვერდით ყოფნა!.. ნეტავი ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგშორდებოდე აქედან, ერთი ავიდოდე ამ ჯურღმულიდან და მაშინ გაჩვენებდი, რაც ბიჭი ვარ!...

II.

ეს ორი ძმობილი რომ ასე ჩხუბობდენ, ერთხელ, როგორღაც, თავს წაადგა იმათი წყალი-დობილი.

— რა ამბავი გაქვთ, ძმებო? რა გაქვთ გასაყოფი? ჰკითხა წყალმა.

— აი, ეს ბინძური არ მისვენებს! შესტირა ოქროა-ძმობილმა,— სწორეთ თავი მომაბეზრა, სიცოცხლე გამიმწარა: მუდამ ხეპრულათ მექცევა და მეც, როგორც კეთილშობილს, სწორე გითხრა, ძალიან მწყინს მაგისი ამ გვარი ქცევა.

— კარგი, კარგი, ახლა მე ვიცი! მე თქვენ მოგარიგებთ! უთხრა წყალმა-დობილმა და მიჰყო ხელი მუშაობას: წვეთი წვეთს შეუერთა, ნაკადული ნაკადულს და დაუწყო დედამიწას შლა, თხრა და მიჰქონდა ქვევით-ქვევით, მთის ძირში, სადაც შვენიერი მთის წყალი მიჩხრიალებდა. ოქროს ქვიშა ქვიშასთან მიუმატა და ნაშალ მიწასთან ჩაიტანა მდინარეში; მიწა და თიხა წყალმა წაიღო, ოქროს ხვიშირი კი ჩასძირა წყალში და იქ დარჩა. შვენიერი სანახავი იყო ოქროს ხვიშირი, რომ წყლის ქვიშაში შეერია და იქ ნაპერწკლებივით ბრჭყვიალი დაიწყო.

— მადლობა ღმერთს, ძლივს ვიხილე ნათელი ქვეყნისა! სიამოვნებით წარმოთქვა ოქროა-ძმობილმა და ჭყუმპალაობდა ანკარა მდინარეში,— ემადლობ, ჩემო წყალ-დობილო, ჩემო მფარველო ანგელოზო, რომ იმ თაეხედსა და ბრიყვს მომაშორე!... ახლა მითხარ, ჩემო დობილო, მე ხომ აქ ყველაფერს ვჯობივარ? ყველანი მე შემომხარიან და შემომტრფიან!?..

— ჰო, ჰო, კარგი, დამეხსენ! მიუკო წყალმა-დობილმა და გაეშურა ქვემოთკენ,—მე შენს მეტი საქმეც ბევრი მაქვს; ყველგან უნდა მოვასწრო ჰყოფნა. ე მანდ მოისვენე, თუ ძმა ხარ, შენთვის არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეინათ, დამშეიდებული და აღარავის წაეჩხუბო!.. უჰ! რა ბევრი საქმე მაქვს: იქ თვლები უნდა ვაბრუნო, იქ წყლის ნაპირი მოვჭამო, ყველას წყურვილი მოვუკლა!.. ნახვამდის, ძმაო!

დარჩა ოქრო-ძმობილი მთის ჩქარ-წყლის ძირში და ცოტ-ცოტათი წაილამა შლამში. ეს კი ჭკუაში არ მოუვიდა თავმოყვარე მკვეხარას და ახლა დანანდა რკინა-ძმობილი, რომელთანაც ლანძღვა-გინება მაინც შეეძლო; აქ კი—წალამული უნდა ეგდო და ვერავინა გხედავდეს, ზედ არავინ გიყურებდეს! წყალი-დობილი მირბის მის გვერდით და ეზიდება ქვიშას, ჩალა-ბულას, ბალახ-ბულახს...

— ასე საით მიეჩქარები, დაო, რომ ყურს აღარ მიგდებ? ჰკითხავს ოქრო-ძმობილი,—აქ მომხვდე, შენ ცქრიალა თავს ვენაცვალე: რა მიყავ ესა? აბა რასა ჰგავს, რომ აქ ქვიშაში და ლაფში ჩამფალი და მიმანებე თავი! მე შენგან ამას არ მოველოდი, ეს იმედი არა მქონდა!

— არა მცალიან, ძმაო, არა, შენთან სალაპარაკოთ!

— მე, ჩემო დაიკო, კეთილშობილი კაცი ვარ, კეთილშობილი და შენ კი რაც რამ ბინძური იყო, თავზე დამაყარე! სირცხვილით თავი სად გამოვყო.

— მოითმინე, ძმიავ, მოითმინე და ყველაფერზე ნუ ჩივი! ურჩია წყალმა-დობილმა და განაგრძო თავის მუშაობა.— ყველაფერ საქმეში მოთმინებაა საჭირო, მოითმინე..

—ერიჰა, რაებს მელაპარაკები? შენც აგრე? გაჯავრდა ოქრო-ძმობილი და დაუწყო ლანძღვა წყალსა:—ამისთვის წამოგიყვანე მთიდან? მადლობას მოგახსენებ, მადლობას!.. იქა ეგდებულვიყავ, თუ ამ დღეში ჩავვარდებოდი?.. მოტყუება რა საკადრისია, რა კაცობაა! შენც შეგშურდა განა, რომ მე ყველასა ვჯობივარ და იმიტომ აქ ქვიშა-ლამში ჩამფალი?.. ვერ გავძლებ, დაო, ვერა, მე ამ რიგათ...

— მოთმინება იქონიე-მეთქი, ძმაო, მოთმინება! ებუტბუტებოდა წყალი და მიდიოდა თავისთვის ქვევით-ქვევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III.

დიდ ხანს ლოდინი არ მოუნდა ოქრო-ძმობილს. მდინარის ნაპირს მოადგენ მუშები და დაუწყეს თხრა დიდრონ ოთხკუთხიან ორმოებს. ქვიშის ძარღვამდი რომ დავიდენ, ჩაჰყარეს აქედან მოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრილი მიწა დიდრონ ქვაბებში და დაუწყეს რეცხა — ძირში გამოჩნდა ბრჭყვიალა ოქროს ქვიშა.

— კარგი ნიშანიაო, წარმოთქვა მუშების უფროსმა და დაუწყო შინჯვა ოქროს მარცელებს. — შეიძლება აქ მადანი აღმოვაჩინოთო.

გახურდა მუშაობა. მოაწყდა მუშები ასობით. იღებდენ მიწის ზემო პირს, რომლის ქვეშაც გაწოლილიყო ოქროს ძარღვი. გაჩეხეს გარშემო ტყე, ჩადგეს მიწური და ფიცრული ქოხები, გამართეს საგუბრები და მაშინებით დაუწყეს რეცხა, წმენდა ოქროს. ეს ხდებოდა ამ რიგათ: საგუბრებიდან ხის ღარებში გაყვანილ წყალს მიუდგეს დაჩხვლეტილი ქესტით დახურული ხის ყუთები, ამ ქესტებზე ჰყრიდენ ოქრო ნარევ ქვიშას, რომელსაც წყალი ჰრეცხდა. თან მუშები რკინის ნიჩბების რევით შეელოდენ წყალს — თიხა მოეშორებინათ ქვიშიდან. პატარა ზოლები რჩებოდენ ქესტებზე. თიხა და უბრალო ქვიშა მიჰქონდა წყალს, ოქროს ხვიშირი კი ყუთების ძირში რჩებოდა, რადგან ის ქვიშა-ლამზე მძიმე იყო. ამ გვარათ, რაც ოქრო იყო წყალში მუშების ხელში რჩებოდა... ის ასწონეს, ჩაჰყარეს მაგარ ტყავის ტომრებში და შეინახეს დაკეტილ ფულთ-საცავში.

— ჰო, ახლა კი, მგონი, ღვთის მადლით, კარგი კაცის ხელში ჩავეარდიო, თქვა ტყავის ტომარაში ჩამჯდარმა ოქრო-ძმობილმა: ახლა კი ეელარაეინ მომატყუებს!.. ხალხიც, როგორც ეტყობა, შეგნებული შემხვდა: ძლივს გაუგიათ ვისთანაც აქვთ საქმე; მთელი დედამიწა გადათხარეს და არც ერთი ოქროს ხვიშირი არ დააგდეს უყურადღებოთ... ე ტომრებიც ჩინებულია.

როცა მუშაობა გათავდა, პატრონმა წაიღო ოქროს ტომრები ქალაქში. ეს საშინლათ მოეწონა, თავი გამოიდო და გაამპარტავნდა ოქრო-ძმობილი.

— მშვიდობით რკინავ-ძმობილო, მშვიდობით, გენაცვა! შეჰყვირა იმან ტომრიდან, როცა თავის სამშობლო მთის ძირში გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარეს: ქალაქში მიედიეარ, ქალაქში! მააშ!.. თუ რამე გინდოდეს, ნუ დამზოგავ, ჩემი სახელი ახსენე და იქნება გიშველო რამე!..

— გზა მშვიდობისაო,—მიაძახა რკინა-ძმობილმა.

ოქრო-ძმობილს ცოტათი თითქო კიდეც დანანდა თავისი ნათესავი, მაგრამ რალაც სულელ რკინის ლითონს ხომ ქალაქში ვერ გაიყოლებდა, ვისი რა საკადრისი იყო? ამასთან ისეთი ტომარაც არ გაკეთდებოდა, რომ მთელი იმისი გორა იქ შეხვეულიყო!..

— სწორე გითხრათ, ჩინებული ეაქ-კაცი ეარო, ტრაბახობდა გზა-გზა ოქრო-ძმობილი: დახეთ, როგორ მიფთხილდებიან ჩემი პატრონები! მე ყველგან ძვირფასი სტუმარი ვიქნები. „აა, მობძანდით, მობძანდით, გენაცვა! ჭეშმარიტათ, დიდათ მოხარული ეართ თქვენი ნახვისა!. სადა ბძანდებოდით ამდენს ხანს? რათ დაგვიანეთო“. მოშესალმებიან... მეც ხომ ყველას თავს არ გავუყადრებ და ლაპარაკს არ დავუწყებ!..

ჩავალ თუ არა ქალაქში, ხელს მივყოფ ქეიფს, დროს გატარებას, მხიარულებას!

— გვაკმარე თუ ღმერთი გწამს, მაგდენი ტყუილებიო, ამაყათ შესძახა რკინის ზანდუკმა, რომელსაც მოსწყინდა ამ გვარი ყბედობის სმენა:—ცოტა მოითმინე და ნახავ რა აბანოშიაც შეგაბრძანებენ.

— აჰაი, შე გაუთლელო ხეპრეე! დაუყვირა ოქრო-ძმობილმა: პირი მოიბანე და ისე მელაპარაკე.. შენ მგონი ვერ მიცნობ, მე ვინა ეარ! ჰაა? მე შენ გაჩვენებ! ერთი მივიდე ქალაქში!...

IV.

ქალაქში რო მივიდენ, ოქრო-ძმობილმა, ნაცვლათ წარმოდგენილის სიამოვნებისა, მრავალი უსიამოვნება გამოიარა. ტომრების პირი მოხსნეს, ოქროს ხვეშირი თიხის ქილებში ჩაჰყარეს და ზედ სიმჟავე დაასხეს.

— რას ჩადიხართ, თქვე უზრდელებო? შეჰყვირა ოქრო-ძმობი-

ლმა, როდესაც იმას სიმჟავემ წიწკნა-ჩხვლეტა დაუწყო.—ვერა ცნობთ ჩემ კეთილშობილებას, ჩემ ბრწყინვალებას, თუ როგორ არის თქვენი საქმე?! იცოდეთ, რომ მე ჩვეული არ გახლავართ მაგვარ ბრიყულ ქცევას!... ვაიმე დედიჯან! მიშველეთ!

— მაგრე გიჯობს შე სულელო! შენიშნა რკინის საჩხრეკმა, რომელიც ცეცხლა პირას მიჰყუდებოდა კედელს. —ახლა გაიწმინდები, გასუფთავდები; რაც ჭუჭყი და მეტი რამე გირევია, სიმჟავე შესჭამს, შემოგაცლის!

მართლაც, უტრიალა და უტრიალა გარშემო, სწიწკნა და სწიწკნა სიმჟავემ და წაბლის ფერი ქაფი, დურდო მოიგდო ოქროთი სავსე ქილამ. ოქრო-ძმობილმა შესწყვიტა ოხერა-კვნესა და ერთი ღონიერათ ამოისუნთქა, როცა სიმჟავიდან წმინდა წყალში ჩაუძახეს და ჭყუმპალაობა დააწყებინეს.

— ოჰ დაო, დაო, რა ჯოჯოხეთური ტანჯვა-წვალება გამოვიარე! შესჩივლა ოქრო-ძმობილმა წყალსა:—ფუჰ, რა ფინთი რამ ყოფილა ეს სიმჟავე! სულ დამწვა, კინაღამ თვალები გამომთხარა!..

—ეი, გეყოფა მაგდენი ლაქლაქი! დაუყვირა რკინის საჩხრეკმა,— აქ მოგრძანდით, დროა ახლა ცეცხლში შებძანდეთ!

— როგორ თუ ცეცხლში?! ვინა ხართ ქრისტიანები! მიშველეთ! ვაიმე, დედავ!

ძლივს გონებას მოვიდა ოქრო-ძმობილი, რომ მეორე ქილაში ამოაყოფინეს თავი. რკინის საჩხრეკმა დასტაცა ხელი ქილას და შეუძახა თეთრათ გაელვარებულ ღუმელში. აბა აქ მოხდა შესაზარი ტანჯვა, აი. მუშები უმატებდენ და უმატებდენ ღუმელში შეშას; ოქროს ხვეშირი ჯერ გახურდა, ადუღდა, მერე დადნა და გადაიქცა მძიმე წითელ სითხეთ.

— ღმერთო ჩემო! რას ჩადიხარ კაცო? რას მიპირებთ? ჰხრიტინებდა ყელში სიცხისაგან სულ შეხუთული ოქრო-ძმობილი—მოვკვდი, დაო, მოვკვდი, დავიწვი! ერთი ყელი გამისველეთ! .. შენი ჭირიმე, საჩხრეკო!.. დედილო, შენ გენაცვალე, გიკვდები!.. მომკლეს! .

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყეული რკინის საჩხრეკი აყრის და ურევს ქილებს გარშემო-გალეიებულ ნახშირს და ხმას არა სცემს თავის ძმობილის ვედრებას.

გამდნარი ოქრო რომ გათეთრდა და თავს ქაფი-ლექი მოიგდო, ქილები გადმოიღეს ღუმელიდან, ჩაასხეს ყალიბებში და იქიდან გამოვიდენ ცეცხლივით ყვითელი ლამაზი ზოდები!..

— ახლა ხომ კმაყოფილი ხარ, ყბედო? ჰკითხა საჩხრეკმა.

— რატომაც არ ვიქნები კმაყოფილი! დაიწყო ისევ კვეხნა ოქრო ძმობილმა, რომელსაც კიდეც დავიწყებოდა გამოელილი წამება: — ახლა ხომ ნამდვილი კეთილ-შობილი და ბრწყინვალე ადამიანი გავხდი! თქვენი ტოლი კი არ გეგონოთ, ბინძურებო, შავტუხებო თქვენა... მე...

ძლივს დაასრულა ეს სიტყვა რომ ისევ ტყავის ტომარაში ჩასვეს და ყარაულ ქვეშ სატახტო ქალაქში, პეტერბურგში ვაამგზავრეს.

— ეი, ხაბარდა! გზა მიყავით! სატახტო ქალაქში მიმაქროლებენ! ჰყვიროდა ოქრო-ძმობილი: — ნახვამდის ბატონებო!.

ჯერ ცხენებით ატარეს, ატარეს, მერე ხომალდით და ბოლოს რკინის გზით.. მიიხედ-მოიხედა ოქრო ძმობილმა თავის გარშემო და გაჯავრებულმა გულნატკენათ შესჩივლა ყარაულ სალდათებს:

— ამას რას ვხედავ? განა რკინა ძმობილი ჩემზე წინ მისულა სატახტო ქალაქში? ვაი, სირცხვილო!.. რკინის ხომალდები, ტელეგრაფის რკინის მავთულები;... ეს როგორ მოხდა?! როდის მოასწრო იმან ჩემზე წინ წასვლა? ნუ თუ ის ჩემზე უწინ გაიცნეს და ჩემზე მეტათ უყვართ?!..

V.

სატახტო ქალაქში რომ ჩამოხტა, ოქრო-ძმობილს ცოტა ნუგეში მიეცა, დამშვიდდა, რადგანაც აქ ის დიდი პატივის ცემით მიიღეს და შეაბძანეს პირდაპირ ზარაფხანაში (монетный дворъ), სადაც იმას დიდი ხანია ელოდენ. სუყველანი ტყავის ტომრებს მიცვივდენ და კინალამ ლუკმა-ლუკმა დაფლითეს, ზედ შემოაფცქვნეს.

ზოგი ნაწილი ოქროს ზოდისა ზარაფ-ხანაში დასტოვეს, ზოგი კი სხვა და სხვა ფაბრიკებში გაგზავნ-გამოგზავნეს.

— გამარჯობა, გამარჯობა, ბატონებო! ჰყვიროდა ოქრო-ძმო-

ბილი,—დიდათ მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა! დიდათ მიხარია აქ მოსვლა!... მაშ არა და, თქვენგან არ მიკვირს, ჩემისთანა კეთილშობილი, ბრწყინვალე ადამიანი და სადღაც მთაში გდება!... მოგონებაც კი მეზიზღება, თქვენმა მზემ!... რამდენი უსიამოვნება და ვაი-ვაგლახი გამოვიარე სიმჭაველისა და ცეცხლისაგან!.. ახლა კი დროა მოსვენებით ვიცხოვრო!..

მაგრამ ოქრო-ძმობილის სიხარული დიდი ხნისა არ იყო. ეაის გავეყარე და უის შევეყარეო“! სიმჭაველსა და ცეცხლზე უარეს ჭირში ჩავარდა: ზარაფხანაში დაბინავებული ზოდები ისევ გადაადნეს, მერე დიდრონ თაბახებათ აქციეს.. თაბახები გრძელ ზოლებათ დასჭრეს და ეს ლენტები მრგვალ-მრგვალათ დაკუწეს.. ოქრო-ძმობილმა რომ ეს საშინელი და თავ ზარ დამცემი რკინის მანქანები დაინახა, კინაღამ შიშისაგან გაჰქრა: აი ნამდვილი წამება ახლა ატყდებოდა თავსა!. ყოველ ნაბიჯზე რომ ე რკინა-ძმობილი ეჩხირებოდა, წინ ეღობებოდა!..

— შენი ჭირიმე, ძმაო, ნულარა მტანჯავ, შენ თავს შემოგევლე! ეხვეწებოდა და ყელს უწვდა ოქრო-ძმობილი, როცა სხვა და სხვა მანქანაში ატარებდენ:—ჩემ დღეში აღარას დავიკვეხებ!.. ოხ, შავ და უკულმა ის დღე, როცა მე ამ ქალაქში მოვდიოდი!.. რატომ ფეხი არ მომტყდა, რატომ დედა მიწის გულში არ გავქვავდი!!

რკინა-ძმობილი გაჩუმებულიყო და თავის საქმეს აკეთებდა; აგორავებდა, სჭრიდა, უჭერდა, აწვებოდა, სტკეცდა... ამ გვარათ ზარაფხანაში ყველა ზოდები ლამაზ ოქროს ფულებათ იქცა და მხოლოთ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლათ ოქრო-ძმობილმა, ძლივს სამუდამოთ დაახწია თავი გულ პილწსა და მრისხანე ტლანქ რკინა-ძმობილს.

მეფ-ბრიკეებთან მყოფ ოქროს ზოდებსაც არ დაადგათ ნაკლები შავი დღე. აქ ზოდებისაგან გამოჰყავდათ წერილი მაეთულები, ისეთი თხელი ფურცლები, რომ შიგ სინათლე გადიოდა; სცემდენ უწყალოთ კვერებს და ჩაქუჩებს, ხერხავდენ ფოლადის ხერხებით და სხ. ოჰ, რა ტკივილებსა გრძნობდა საწყალი ოქრო-ძმობილი, მეტადრე იმ წყეულ ხერხისაგან!. რამდენსა ცდილობდა, რამდენსა ხტუნაობდა, ცმუკავდა ოქრო-ძმობილი, რომ ხელოსანს როგორმე ხელიდან გასხლტომოდა, მაგრამ ვ რ მიარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვეს! სად წაუხვალ? აიღებს ოსტატი და რკინის ჭახრაკს უჭერს, მუხრუჭში უჭირავს, როგორც კბილებში და თვითონ გულმოდგინეთ თუ ხერხით, თუ ჩაქუჩით, თუ ქლიბით ერთ ყოფას უწვეს.. საცოდავი ოქრო-ძმობილი კვნესის, წკმუტუნებს და მინაზებული ხმით—მომაკვდავივით ეეედრება რკინა ძმობილს:—რათა მტანჯავ, ძმობილო! ღმერთი იწამე!.. აღარ გახსოვს რა მეგობრულათ ეცხოვრებდით მიწაში რომ ერთათ ვიმყოფებოდით? არა, რა მომარბეინებდა მე თვალ დამდგარს სატახტო ქალაქში?!..

—ძმაო, ძმიავ, ძმიკო! მაკმარე, შენ თავს შემოგევლე!...

—მკვეხარა და ყბედი ნულარ იქნები!. მიუგო რკინა-ძმობილმა და არ დააკლო ჩაქუჩით, ხერხით და ქლიბით ცემა ტყეპა, ჩქმეტა, წიწკნა.—ვერ მოითმინე ჩუმათ გდებულიყავ, თავი დაგემალა მიწაში და ახლა თავში კვერ-ჩაქუჩი იეც და მოთმინება იქონიე!. მე ძალიანაც მიხარიან, რომ შენ ოხტში მოვდივარ!..

—აღარ, აღარ ვიყბედებ დღეის შემდეგ! წრიპინებდა ტირილით ოქრო-ძმობილი რკინა-ძმობილის ხელში და სწყევლიდა თავის გაჩენის დღეს, დაუდეგარ ენას!—ხასიათს გამოვიცელი, ვიქნები ჩუმი, მშვიდი, წყნარი!..

რკინა-ძმობილს არ ეცალა მკვეხარასთან ტყუილ-უბრალო ყბედობისთვის და ხმა გაკმენდილი თავის საქმეს განაგრძობდა. ოქრო-ძმობილის ზოდიდან გამოდიოდა ძეწკვები, ბეჭდები, ქინძისთავები, საათები და სხვა ათას ნაირი ნივთები, რომლებიც სახელოსნოდან გადადიოდენ შვენიერ მალაზიებში, სადაც იმათ ცივ ნიავს არ აკარებდენ. ბაზბაში ახვევდენ და აწყვენდენ, ხავერდის მუთაქა-ბალიშებზე შუშა-ბანდიან ოთახებში, პატარ-პატარ კოლოფებში...

VI.

განიბნა ოქრო-ძმობილი შვენიერ ოქროს ფულებათ სხვა და სხვა ჯიბეებში, დაიწყეს ბრჭყვიალი სხვა და სხვა უბრალო სამკაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებათ. გადაეკრა სევადათ სხვა და სხვა ნივთებს, გადა ეიწუა ყველა თავისი ტანჯვანი და მოჰყვა ისევ უარეს ტრაბახს:

— ერთი შემომხედეთ, რა ბიჭი ვარ და! რკინა-ძმობილი ვის ეკადრება? რა ჩემი ტოლი და ამხანაგია! მეხი კი დავათხლიშე იმ ზუნტლიან თაეზედა! ჭანგიანი, პირუბანელი!. ჰკვირიოდა ოქრო-ძმობილი და აყრიდა ქოქოლას თავის ძმობილს, —ხა; ხა, ხა, ხა!. მე ახლა ალარავისი არ მეშინია! ყველას ბატონი ვარ, ბატონი!.

ყველაზე მეტათ ერთ მდიდარ მაღაზიაში იკვეხოდა ძვირფასი, ბრილიანტებით და მარგალიტებით მორთული ოქროს საათი. ამ საათის სახურავი შვენიერი ხელოვნების ჩუქურთმით იყო მოქანდაკებული და ყოველი მყიდველის ყურადღებას იქცევდა. დიდ ხანს უგდეს ყური სხვა საათებმა ამის თავგამოდებულ, დაუბოლოვებელ ყბედობას, ითმინეს, ითმინეს და ბოლოს მოთმინება დაჰკარგეს, აშფოთდენ. აჯანყდენ.

— აქეთ მოგეხედე, მოწყალეო ხელმწიფევ, დაიწკრიალა საათის ფოლადის აშკმა (პრუჟინამ). — რითი მოგაქვს შენ ასე თავი?

— როგორ თუ რითი? გაიკვირვა ოქროს საათმა: — ერიჰა! მოდი და ელაპარაკე ამისთანა ბრიყვს!. ჯერ ერთი ეს მიბძანეთ, ვისთანა მაქვს ბედნიერება მუსაიფისა?

— მაგის პასუხს „მაიატნიკი“ მოგახსენებს, გაიწკრიალა მხიარულათ „პრუჟინამ“.

— ტიკ-ტაკ! ტიკ-ტაკ! მე არ მიყვარს სულელ ხალხთან ლაპარაკი! გაჯავრებით მიუგო „მაიატნიკმა“: — დროც არა მაქვს!. ტიკ-ტაკ! ტიკ-ტაკ! ქვეყანაზე ყველაფერი რკინით კეთდება: ხნავენ მიწას — რკინით, ქვებსა თლიან — რკინით, გზებსა და ხიდებს აკეთებენ — რკინით; რკინის მავთულებში გადიან ელვასავით დეპეშები!... ის არის ყველგან საჭირო და სასარგებლო. ურკინოთ ხალხი მშიერ-მწყურვალი დარჩებოდა, სიცივით დაიხოცებოდა, ფეხ-შიშველა ივლიდა; არ ექნებოდა წიგნები, სკოლები.... სხვა და სხვა ავათმყოფობისთვის ხმარობენ ფოლადის იარაღებს; ჰხოცავენ გარეულ მხეცებს —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რკინის თოფებით თავის სამშობლოს, სახელმწიფოს, იფარვენ ფოლადის ზარბაზნებ-თ, ხმლებითა და ხანჯლებით... ტიკ-ტაკ! ტიკ-ტაკ! და შენც, ქარაფშუტავ, მიწიდან რკინის ლომებით, წერაქვებით და ბარ-ნიჩბებით გიღებენ... და მერე როგორ და ვის შემწეობითაც იქცევი ფულებათ, და ლამაზ უბრალო სამკაულებათ ეს ხომ შენ უფრო კარგათ მოგეხსენება. ტიკ-ტაკ! ტიკ-ტაკ!

— ყოჩაღ! აფერუმ! ვაშა, ვაშა! ნამდვილი ჭეშმარიტებაა! მხიარულათ დაიწყეს წკარუნი და ჟღრიალი საათის ყველა „პრუჟინებმა", ვინტებმა და ძაფებმა:

— ჩვენ ყველანი ვმუშაობთ, ვშრომობთ და მით დიდი სარგებლობა მოგვაქვს ხალხისათვის, ოქრო კი მხოლოდ ბრჭყვიალებს!..

— მოითმინეთ, ბატონო! ამაყათ წამოყელყელაედა ოქროს საათი:—თუ კი ასე სასარგებლოა რკინა ხალხისათვის, მაშ ოქროს რათ აძევს დიდი ფასი? რკინაზე ძვირათ რათ აფასებენ იმას? აა?!

— ეს იმიტომ, რომ ოქრო ცოტაა ქვეყანაზე, რკინა კი ბევრი! მიუგეს „პრუჟინებმა".

— ტიკ-ტაკ! ტიკ-ტაკ! ჩაერია „მიატნიკი",—ზოგჯერ რკინაც არის ოქროზე ძვირფასი; მაგალითად, ერთი გირვანქა ფოლადის ძაფი, რომელსაც საათებისთვის ჰხმარობენ, ერთ გირვანქა ოქროზე ძვირათა ღირს! ტიკ-ტაკ! ტიკ-ტაკ! ოქრო—ლამაზი სათამაშოა, რკინა კი—საუკუნო მუშაკი!...

ყველა აშკებმა, ვინტებმა და ძაფებმა გულიანი ხარხარი დააყარეს სულელ ოქროს საათს და უფრო გულმოდგინეთ განაგრძეს თავიანთი დაუღალავი შრომა; „მაიატნიკმაც" მორთო, თავისი ერთგვარი სიმღერა: „ტიკ-ტაკ! ტიკ-ტაკ!"...

თეოფ. კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელია და მონადირე.

ა რ ა კ ი

„ქილილა და დამნიდან.“

ერთ დღეს ერთი ცქვიტი მელია მინდორში დაცუნცულებდა. დაინახა ვინმე მონადირემ, მისი ბეწვი ძლიერ მოეწონა და შეეურობა განიზრახა. მელიამ რომ კაცი დაინახა, გაიქცა თავის სოროსაკენ და შიგ დაიმალა. მონადირე უკან მიჰყვა, იპოვა სორო და მის გამოსასვლელში ორმო ამოუთხარა; ორმოს ბირს კაჭაჭი წააყარა, ზედ ბმორი დადვა და თვითონ შორი-ახლო მოფარებით დადგა.

ბმორის სუნზე მელია სოროდან გამოვ და; ორმოს გარს შემოუარა. მონადირის ეველა მოწყობილება ათვალჩაათვალიერა, აზრი აიღო და თქვა: „აქ რაღაც ეშმაკობა უნდა იყოს, ბმორი საჭმელათ კარგია, მაგრამ გაფრთხილება მირჩევნიაო“. შემდეგ გაუდგა გზას.

ამ დროს მთიდან ერთი ბშიერი ვეფხი ჩამოსულიყო. სუნის გაგებით მიადგა, ეცა ბმორს და ო ბოში კი ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდა. მონადირეს რომ ჩავარდნის ხმა შემოესმა, ეგონა ძელია დავიჯირეო, სიხარულისაგან გატაცებული გაქანდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ორმოსაკენ და, საუბედუროთ, თვითონაც ორმოში ამოჰყო თავი. ვეფხს ეგონა ეს კაცი მმორს მეცილებაო, ეცა და თვალის-დახამხამების უმალ საბრალო მონადირე დაგლიჯა.

სიხარბემ და აჩქარებულობამ ასეთი მნელი დღე დაუენა უბედურს მონადირეს.

გლეხი და სანთელი.

იკავი

ალაქში ოთხნის დროს ერთმა გლეხმა სანთლები იყიდა. სახლში რო დაბრუნდა, ეს სანთლები ცოლს გადაცა და უთხრა: „აჰა სანთლები; მსოლოთ იცოდე კი, რომ გზაში ერთი სანთელი დამეკარგაო“. ცოლმა ჩამოართვა, დათვალა და შენიშნა, რომ ერთის მაგივრათ სამი სანთელი აკლდა.

—„კაცო, შენ ერთს ამბობ და სამი კი დაგიკარგავსო“—გაოცებით მიუბრუნდა ცოლი გლეხს.

„არა, მიუგო გლეხმა, დაკარგვით ერთი დავკარგე, მაგრამ რადგან ეს ღაძე მოხდა, ორიც ძებნაში დავწვიო“.

ალ. მ—შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ე ბ ი.

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

1.

წალმა წაკითხვით ქართველს აღნიშნავს,
დასავლეთს გაზდილ-დაბადებულსა;
ორ ასო ნაკლებ — ხალხს წარმოგვიდგენს,
ან ჯგუფათ სადმე იმის კრებულსა;
უკულმა — ნადირს, ბალახის მჭამელს,
რქებით ლამაზს და ხორცით ქებულსა;
პირველ ასოს თუ ხმავანით შეეცვლით
ეტლს ნიშნავს, სადათ გაკეთებულსა.

2.

იმის სახელი, - რაზედაც ბალღებს
ხარბათ უჭირავთ ყოველთვის თვალი, —
რომ მოვაბრუნოთ და ერთ ხმოვანით
შეეავსოთ მისი ბოლო მარცვალი, —
დიდებულ პირის სახელს მივიღებთ,
ვისაც თაყვანს სცემს ჩვენში მრავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი გრ. ტატიშვილისაგან)















ვინც ამ რებუსს უწინ გამოიცნობს საჩუქრათ ერგება „ჩართული ანბანი“ გამოცემა გრიგოლ ტატიშვილისა. ორი არის დანიშნული თბილისის ხელის მომწერლებისათვის და ორიც— ქალაქ გარეთ ხელის მომწერლებისთვის.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეოთხე

გამოვა 1897 წელს თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნ-ით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) **თბილისში**—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში (д. зем. банка № 32) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

2) **ქუთაისში**—ვ. ბექანეიშვილთან,

3) **ბოლოში**—ა. კალანდაძესთან.

4) **ბათუმში**—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) **სიღნაღში**—ივან. ქიტიაშვილთან.

6) **საჩხერეში**—ყარამან ჩხეიძესთან.

7) **ელისავეტოპოლში**: ა. მიქაბერიძესთან.

8) **თიოლნეთში**—ივ. ჩიბალაიშვილთან.

9) **ყვირილაში**—არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

10) **ფოთში**—ი. ბოხრეიძესთან.

ფოსტის ადრესი: ***Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.***

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.